# სააკაშვილის, როგორც ქვეყნის პრეზიდენტის, ამჟამინდელი მოქმედება სრულებით არ შეესატყვისება „ქართული ოცნებისთვის“ ხელისუფლების მშვიდობიან გადაცემას...


# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


სამშაბათი, 16 ოქტომბერი, 2012 წელი.

№198 (7074)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## მთელ ნაცხელისუფლებას მირჩევნია ის აჭარელი ტრაქტორისტი, ეკლესია რომ არ დაანგრია ⑥ ⑦



**ანუ რატომ არ უნდა უკვირდეთ სააკაშვილსა და მის გუნდს, რომ ბათუმმა მათ არჩევნებისას უგანა**

## ყველგან კარგია, ნაცთა სიმუხთლე სადაც არ გადის!

**ანუ „სამი წვეთი“, რომლებშიც მთელი „ოკეანე“ აირეკლა** ②




## ერთი გვითხარ, ვაუჩერო, უგულავას დავუჯეროთ?

**რატომ დაუპატარავეს „ასპარეზი“ ათასლარიან დაპირებას?**

## დონაძე შსს-დან მტკიცებულებებს აქრობს ④

## „დიდი გადაფრენა იწყება“ ③



## როცა ტყუილი უფასურდება, ხოლო პური ძვირდება! ⑤

## კიდევ ერთი რევოლუცია საქართველოში ⑧

# სააკაშვილი კვლავ ცდილობს, რომ ნაციონალების დამარცხება როგორმე საბოლოო კრახად მაინც არ აღიაროს...

**მართალმწარე წკიპურტები**

## ყველგან კარგია, ნაცთა სიმუხთლე სადაც არ გადის!

### ანუ „სამი წვეთი“, რომლებშიც მთელი „ოკეანე“ აირეკლა

**გუშინწინ, შედეგგაუქმებულ საარჩევნო უბნებში განმეორებითი არჩევნების დღეს, ტელევიზიებით გადაიცემოდა, რომ ხმის მიცემის პროცესი ყველგან შეუფერხებლად, უექსცესებოდ, დარღვევებისა და ძალადობის გარეშე მიმდინარეობდა. გუშინ გავრცელებული წინასწარი მონაცემებით კი „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა სამივე რაიონში პირწმინდად, ნოკაუტით დაამარცხეს „ნაცმოძრაობის“ დეპუტატობის კანდიდატები.**










**და კვლავაც ხაზგასმით: არჩევნები ყოველგვარი გაყალბება-ძალადობის გარეშე ჩატარდაო!**

ამის შემყურე-გამგონეს ერთი საბჭოური ანეკდოტი გამახსენდა:

მატარებლის კუპეში აზერბაიჯანელი საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყანაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს ყვება. აღტაცებულია, იქ, ყველგან, ისეთი კარგი ცხოვრებაა, თავი სამოთხეში გეგონებაო, ისე კი არ უჭირთ, როგორც ჩვენთანო...

— **ვეზდე ხოროშო, გდე ნას ნეტ!** — უხეშად აწყვეტინებს ამით გაღიზიანებული რუსი.

— **პრავდა, ე, დეისტვიტელნო ვეზდე ხოროშო, გდე ვას ნეტ!** — უყოყმანოდ ეთანხმება აზერბაიჯანელი.

**ამისი არ იყოს, დალოცვილებო, ვინ გააყალბებდა არჩევნების პროცეს-შედეგებს, ნიღაბმორგებული ვინ იძალადებდა ამომრჩევლებსა თუ საარჩევნო კომისიათა წევრებზე, ვინ „იექსცესებდა“ და, უკაცრავად პასუხია, იმამაძაღლებდა იქ, სადაც ამას ნაცმოძრაობა არ დაგეგმავდა და განახორციელებდა?**

**მართლაც, იმ აზერბაიჯანელისა არ იყოს, „ვეზდე ხოროშო, გდე იხ (იგულისხმება „გნაცმოძრაობად“ ქცეული ნაცმოძრაობა) ნეტ!**

და ერთიც: იმ განმეორებითმა არჩევნებმა ნათლად ცხადჰყეს: **რომ არა „გნაცთა“ ძალადობა-გაყალბება, პირველადი არჩევნებიც მთელს საქართველოში ლამის ისეთივე შედეგებით დამთავრდებოდა, როგორც გუშინწინ საქართველოს სამ რაიონში დამთავრდა.**

## ერთი გვითხარ, ვაუჩერო, უგულავას დავუჯეროთ?

### რატომ დაუპატარავეს „ასპარეზი“ ათასლარიან დაპირებას?

**უგულავა იმაღლა ვახსენე, რომ გუშინწინ საღამოს სწორედ მას მოვუსმინე ამ თემაზე: რაკი ათასლარიან ვაუჩერებს ველარ დავარიგებთ, რითაც მოსახლეობას ერთგვარი კომპენსაცია მიეცემოდა, იმადაც ვფიქრობთ დენისა და ნაგვის გადასახადების განცალკევებასო.**

მანამდე „ათას მთავრობაზე გადამხტარმა“ მიხეილ მაჭავარიანმა თქვა ნირშეუცვლელად — **განა ჩვენ არ ვიცოდით, რომ მაღალი კომუნალური გადასახადები მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობას. ვიცოდით და, მათთვის შეხიდების მიზნით, ამიტომაც ვაპირებდით ათასლარიანი ვაუჩერების დარიგებასო.**



**ღმერთო ჩემო, მაინც ვინ დაწყევლა ასე მწარედ „გნაცმოძრაობის“ წევრები — სინდის-ნამუსთან ერთად გაწითლების უნარიც წაგრთმეოდეთო!**

აგერ ახლა არ იყო, რეკლამებითაც რომ „გვასწავლიდნენ“ და პირადადაც გვეუბნებოდნენ „გნაცმოძრაობის“ ბოსები, რომ ამ ვაუჩერებით შეგვეძლო: **ა. ბავშვების სასკოლო სახელმძღვანელოების შეძენა; ბ. ნიადაგის დასამუშავებლად ტრაქტორის დაქირავება, სასუქის ან დიზელის საწვავის შეძენა; გ. კომუნალური გადასახადების გადახდა.**

ანუ მარტო კომუნალური გადასახადებისთვის ვერ იმეტებდნენ ამ „პანაცეას“.

ახლა რა შეიცვალა, რად დაუპატარავეს ასპარეზი ათასლარიან ვაუჩერს?

რა შეიცვალა და ის, რომ **გამარჯვებული „ქართული ოცნების“ მთავრობის წევრებად თუ პარლამენტის ხელმძღვანელობაში დასახელებული ადამიანები აცხადებენ, ტარიფები და კომუნალური გადასახადები მაღალია და, შესაბამისად, შესამცირებელიო.**

და რაკი „გნაცელებმა“ იგრძნეს, რომ ეს გაკეთდება კიდეც, უცებ მოირგეს ეს ვაუჩერები მაშველ რგოლად — ამით ვაპირებდით მოსახლეობისთვის შეღავათების მიცემასო.

**თქვე კარგი დედმამიშვილებო, მანამდე სად იყავით, თუნდაც შარშან ან წლევანდელ გაზაფხულზე?** რატომ მაშინ არ ამბობდით, ჯერხნობით ამ ვაუჩერით მოითქვით სული კომუნალური გადასახადის გადახდისას, მერე კი ტარიფ-გადასახადს შევამცირებთო?



**რატომ და იმად, რომ გეგონათ, ძველებური სიყალბე-ძალადობით ამჯერადაც გაიმარჯვებდით და მაშინ ამ ვაუჩერის დარიგების დაპირებაც ისევე დალევდა ჩაილურის წყალს, როგორც თქვენი არაერთი დანაპირებნატრაბახევი!**

ამიტომაც, რამდენიც არ უნდა იწვალოთ „გნაცელებმა“, თქვენს ნათქვამს უკვე არავინ დაიჯერებს!

**და კიდევ ამიტომაც, „გნაც ელი“, ბიჭებო!**

**რუსლან რუსია**

**ინფორმაცია**

## „ქართულ ოცნებას“ 85 დეპუტატი ეყოლება, „ნაცმოძრაობას“ – 65

**კოალიცია „ქართული ოცნება“ პარლამენტში 85 დეპუტატით იქნება წარმოდგენილი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კი — 65 დეპუტატით. „ქართული ოცნება“ პროპორციული სიით 44 ადგილს, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 33 ადგილს მიიღებს.**

**პარლამენტში კოალიციას 41 მაჟორიტარი ეყოლება, „ნაციონალურ მოძრაობას“ — 32.**

საპარლამენტო არჩევნები 1-ელ ოქტომბერს გაიმართა და მასში მონაწილეობა მიიღო 2 150 197-მა ამომრჩეველმა. ამომრჩეველთა 54.97%-მა მხარი დაუჭირა „ქართულ ოცნებას“, ხოლო 40.34%-მა — „ნაციონალურ მოძრაობას“.

14 ოქტომბერს მაჟორიტარული სისტემით განმეორებითი კენჭისყრა სამი ოლქის 11 უბანზე გაიმართა, სამივე ოლქში უპირატესობა „ქართული ოცნების“ კანდიდატებმა მოიპოვეს.

საქართველოს პარლამენტი სულ 150 დეპუტატით იქნება წარმოდგენილი. დეპუტატთა რაოდენობა ცესკომ შესაბამისი ფორმულის მიხედვით დათვალა: პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა 77-ზე გადამრავლდა და ყველა საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების ჯამზე გაიყო.

## ორივე პოლიტიკური ძალის მიმართ გარკვეული საფრთხეები არსებობს

**„ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ ემუქრებათ საფრთხე, მოისხან მორალისტი ინკვიზიტორის და წამებული დემოკრატის მანტიები, ეს არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ, — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატმა დავით უსუფაშვილმა „ქორთიარდ მარიოტში“ გამართულ კონფერენციაზე განაცხადა.**

— არჩევნების შემდეგ გარკვეული საფრთხეები არსებობს ორივე პოლიტიკური ძალის მიმართ. მაგალითად, გამარჯვებულ ძალას ემუქრება საფრთხე, მოისხას მორალისტი ინკვიზიტორის მანტია, რადგან ძალიან ბევრი ქონებაა მოპარული და ამის გამო შესაძლოა, თვალი რევანშისკენ გაგვექცეს. რა თქმა უნდა, ეს არ უნდა დავუშვათ. ფაქტია ისიც, რომ თუ ახალმა ხელისუფლებამ ძველ დანაშაულებზე რეაგირება არ მოახდინა, გამოდის, რომ ის საზოგადოებამ ტყუილად აირჩია. თუმცა, კონკრეტული დარღვევები ჩვენი გადასაწყვეტი არ უნდა იყოს და ეს საკითხები დამოუკიდებელმა სასამართლომ უნდა განიხილოს. ამავე დროს, „ნაციონალურ მოძრაობას“ არ უნდა მიეცეს საშუალება, მოისხას წამებული დემოკრატის მანტია. არც ამის დაშვება იქნება სწორი, რადგან წლების განმავლობაში პოლიტიკური პროცესი, რომელიც ამ ქვეყანაში მიმდინარეობდა, იყო უკიდურესად მძიმე და არც იმ საარჩევნო კამპანიას, რომელიც ჩვენ ვნახეთ, არ შეიძლება, ეწოდოს ტესტის ჩაბარება ხელისუფლების მხრიდან, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

მისივე განმარტებით, ხელისუფლება 2 ოქტომბერს „იძულებული გახდა, არჩევნებში დამარცხება ეღიარებინა“, რაც არ ნიშნავს, რომ ყველა პრობლემა წარსულს უნდა ჩაბარდეს.

ამასთან, უსუფაშვილის თქმით, მხარეებმა უნდა მოახერხონ, რომ პოლიტიკური პარტიები სახელმწიფო ძალაუფლებისგან გამიჯნონ.

## რიჩარდ ნორლანდი დარწმუნებულია, რომ საქართველო კარგ ხელშია

**— ამის შესახებ „ქორთიარდ მარიოტში“ მიმდინარე კონფერენციაზე საქართველოში აშშ-ის ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა განაცხადა. მან ქვეყანაში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები კიდევ ერთხელ შეაფასა და აღნიშნა, რომ მიხეილ სააკაშვილმა სახელმწიფოებრივი მოღვაწის სიბრძნე აჩვენა.**

— 2012 წლის ოქტომბერი, ალბათ, საქართველოს ისტორიაში დრამატული და მნიშვნელოვანი გარდაქმნების მომენტად აღინიშნება, რადგან ჩატარდა კონკურენტული არჩევნები, იქმნება ახალი მთავრობა, რომელიც უფლებამოსილებას მალე აიღებს. პრეზიდენტმა სააკაშვილმა აჩვენა სამოქალაქო და სახელმწიფო მოღვაწის სიბრძნე. დარწმუნებული ვარ, რომ ძალაუფლების გადაცემის პროცესი პროფესიონალურად გაგრძელდება, — აღნიშნა რიჩარდ ნორლანდმა კონფერენციაზე.

ამასთან, მისივე თქმით, საქართველოს ბედმა გაუღიმა, რომ „ასეთი კალიბრის პატრიოტები ჰყავს“. ლიდერები, რომლებიც მზად არიან, განსხვავებებს გადააბიჯონ და იმოქმედონ საქართველოს ინტერესებისთვის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველო ძალიან კარგ ხელშია.

აშშ-ის ელჩმა პოლიტიკურ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების როლზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ქართულმა არასამთავრობო სექტორმა თავისი მნიშვნელოვანი ფუნქცია წარმატებით შეასრულეს.

**ინტერპრესნიუსი**

## ◉ ინტერნეტიდან

პრეზიდენტის გადაწყვეტილების საფუძველზე, ზოგიერთ უმაღლესი თანამდებობის პირს თანამდებობიდან გათავისუფლების ან უფლებამოსილების ვადის გასვლიდან ერთი წლის განმავლობაში, შესაძლოა, დიპლომატიური პასპორტით სარგებლობის უფლება შეუნარჩუნდეთ.

ამის შესაძლებლობას „საქართველოს სამსახურებრივი სარგებლობის პასპორტის დებულების დამტკიცების შესახებ“ პრეზიდენტის ბრძანებულებაში შეტანილი შესაბამისი შინაარსის დამატება იძლევა.

პირები, რომელთაც თანამდებობიდან გათავისუფლების ან უფლებამოსილების ვადის გასვლიდან ერთი წლის განმავლობაში, პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, შეიძლება დიპლომატიური პასპორტით სარგებლობის უფლება შეუნარჩუნდეთ, არიან: პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, პარლამენტის წევრები, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი და მდივნის მოადგილეები, მინისტრები და სახელმწიფო მინისტრები, გენერალური პროკურორი, კონტროლის პალატის თავმჯდომარე, სახალხო დამცველი, უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი და მისი მოადგილეები, პრეზიდენტის მრჩევლები, თანაშემწეები, პრეზიდენტის სამდივნოს უფროსი, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის პროტოკოლის სამსახურის უფროსი და მისი მოადგილეები, ამავე სამსახურის მთავარი კონსულტანტები და კონსულტანტები, ასევე მთავრობის კანცელარიის უფროსი და მისი მოადგილეები, პრემიერ-მინისტრის აპარატის უფროსი, პრემიერ-მინისტრის მრჩევლები, მთავრობის საპარლამენტო მდივანი, პროტოკოლის დეპარტამენტის უფროსი და ამავე დეპარტამენტის მთავარი და წამყვანი სპეციალისტები, პარლამენტის აპარატის უფროსი და მისი მოადგილეები, პარლამენტის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, პარლამენტის საგარეო ურთიერთობების, თავდაცვისა და უშიშროების, ევროინტეგრაციის კომიტეტების აპარატის უფროსები, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობის თავმჯდომარეები და უმაღლესი საბჭოების თავმჯდომარეები, გენერალური პროკურორის მოადგილეები, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი, საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის უფროსი, პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულები, თბილისის მერი, პრემიერი, საკრებულოს თავმჯდომარე და მდივანი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები, სამინისტროსა და უცხოეთის ქვეყნებში არსებული მისი დაწესებულებების დიპლომატიურ თანამდებობაზე მყოფი თანამშრომლები, საპატიო კონსულები, სამხედრო მისიათა მეთაურები და სხვა თანამდებობის პირები.

„საქართველოს სამსახურებრივი სარგებლობის პასპორტის დებულების დამტკიცების შესახებ“ პრეზიდენტის 2005 წლის 17 ნოემბრის ბრძანებულებაში შეტანილი შესაბამისი დამატება და პრეზიდენტის ბრძანებულება „საკანონმდებლო მაცნეში“ უკვე გამოქვეყნდა.

— პრეზიდენტსა და მის მეუღლეს კი დიპლომატიური პასპორტით სარგებლობის უფლება სამუდამოდ უნარჩუნდებათ.

ამ თემაზე სოციალურ ქსელ ფეისბუქში გავრცელდა კომენტარები:

# „დიდი გადაფრენა იწყება“



**„მთვარეზე ხომ არ გაფრინდებიან, ვერსად დაიმალებიან“.**

**„ყველაფერი სათავისოდ მოიწყვეს...“**

**„წავიდნენ, სად წავლენ ?!“**

**„ეხხ, დედა უტირა დემეტრაშვილმა ამ კონსტიტუციას. ვერ გაიგებ კაცი, პრეზიდენტს უფლებები მაინც უნარჩუნდებაო, 6 თვე იმპიჩმენტს ვერ გამოუცხადებო, საკმაო დრო დასჭირდება მაგის შეცვლას...“**

**„აუ, როგორ აწვებიან მიშას თავისი დამქაშები...“**

**„იმედია, გაასაჩივრებენ და გაუქმდება. სამართლებრივად არასწორია“.**

**„გარბიან ვირთხები?“**

**„ეს კაცი გიჟია, რა კანონების დაწერა აუტყდა ახლა. სულელია. ვაი შენს პატრონს მართლა. რა გეშველება, შე უბედურო. რატომ უნდა შეუნარჩუნდეთ, ამას არ იძახის?**

**„ერთი რამ ვერ გამიგია. მოგებული ვინ დარჩა ბოლოს — ნაცები თუ ოცნება? ამათ წაგებულის არაფერი ატყვიათ. ისევ ისე ატრ... ნ როგორც აქამდე...“**

**„აღარ იციან, სად შეძვრნენ და კანონებს იფარებენ თავზე. ჯობია მიგანქარდი იძახონ“.**

**„თუ მოსატყდომად აქვთ საქმე, დაე მოტყდნენ... “**

**„კარგია, ანუ დღეიდან აითვლება, მინიმუმ ვიცით, რომ 1 წლის შემდეგ „ოპტომ“ დაითესებიან...**

**„ნახევარ საქართველოს დიპლომატიური პასპორტი ჰქონია... შთამომავლობით არ გადადის?“**

**„ქვეყნის მკვლელ-მყვლეფავ-მძარცველ-მნგრეველ-ბოზბორდელ ბანდის ყველა წევრს ეხება ეს კანონი. ბრავო მიშა!“**

**„ვერსადაც ვერ დაითესებიან! კონსტიტუცია დაემსგავსება კონსტიტუციას და მორჩება ეს ბაკქანალია!“**

**„ამით გამოაშკარავდა, ვის უფრო მეტი დანაშაული აქვს ქვეყნის წინაშე. ეს თავის გადარჩენაა მათი აზრით.“**

**„ნუ, ყველანაირად იწყობენ საარსებო მდგომარეობას სამომავლოდ და უფრო მეტისასაც...“**

**„ერთი წელი თუ დასჭირდათ გასაქცევად, დავიღუპეთ და ეგაა.“**

**„პასპორტები კი არა, პირადობის მოწმობებიც უნდა წაართვა მაგათ, სუყველას“.**

**„ერთი წელი ხელშეუხებლები იქნებითო, ეს თქვა ამ კანონით“.**

**„ქართველები ამტანები ვართ, უცხოეთი მათ ვერ აიტანს. გამოაძევებენ და ისევ ჩვენი შესანახები გახდებიან. გაირჭონ პასპორტები ცოცხის მაგივრად.“**

**„პრეზიდენტის ლეგენდარულ ბებიასაც აქვს ეს პასპორტი ? და თუ გამორჩათ იქნებ დაჭერები ბებიით დავიწყოთ?“**

**„დამშვიდდით, ვისაც სისხლის სამართლის დანაშაული აქვს, დაუსჯელი არ დარჩება, არც არავის აქვს რაიმენაირი ფორმით გარანტიების მიცემის უფლება, ვინც ხალხის სისხლის ხარჯზე დააგროვა ქონება, ვინც თავისი გადაწყვეტილებით გაწირა ადამიანი და სამშობლოს დარტყმა მიაყენა, ყველა უნდა გასამართლდეს თავისუფალი და დემოკრატიული სასამართლოს პირობებში.**

**„საინტერესოა რამდენი ხალხია პრეზიდენტის აპარატში.ანდა რატომ გამოტოვა ავლაბრის სასახლის დამლაგებლებიც?“**

**„მაგათზე სისხლის სამართლის საქმეები რომ აღიძვრება, მერე აღარც დიპლომატიური პასპორტი უშველით და აღარც გალაქტიკაშორისი“.**

ნატა ნიბლაძე

## ◉ ინფორმაცია

### არჩილ კბილაშვილს გენპროკურატურის აღდგენა სურს



**როგორც მთავარი პროკურორობის კანდიდატმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, დღეს მთავარი პროკურატურა აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილია და მთავარი პროკურორი ემორჩილება პოლიტიკური თანამდებობის პირს, იუსტიციის მინისტრს, რაც დასაგმობია. მისი განმარტებით, პირველ რიგში აუცილებლად უნდა აღდგეს გენერალური პროკურატურა, ხოლო გენერალური პროკურორის დანიშვნა უნდა მოხდეს პრემიერის ან პრეზიდენტის წარდგენით და პარლამენტის თანხმობით.**

**— უნდა იყოს მისი დანიშვნის ხუთწლიანი ვადა, ხოლო გადაყენების წესი — იმპიჩმენტი. პროკურატურა სასამართლო სისტემის ნაწილი უნდა გახდეს და აღმასრულებელ ხელისუფლებას უნდა გამოეყოს. არ შეიძლება მთავარი პროკურატურის პირველი პირი ანგარიშვალდებული იყოს აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე. ამან მიგვიყვანა იქამდე, რომ დღეს პროკურატურა აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში რეპრესიულ მანქანად მოიაზრება, — აღნიშნა არჩილ კბილაშვილმა.**

**გარდა ამისა, კბილაშვილი გამოდის ინიციატივით, გენერალური პროკურატურა დაკავდეს ისეთი საქმეების გამოძიებითაც, რომლებთან მიმართებაშიც კონკრეტულ ადამიანებს უკანონობის განცდა გააჩნიათ.**

**— ის პირი, ვინც მიიჩნევს, რომ უკანონო განაჩენის მსხვერპლია, მიმართავს გენპროკურატურას და მოხდება მისი განაჩენის გადასინჯვა. დღეს ათასობით უკანონო მსაჯვრდებული გვყავს და ეს ღირსების საქმეა. საქმეს შესაძლოა, გავლილი ჰქონდეს ყველა ეტაპი, თუმცა, ჩვენ გვინდა შევცვალოთ კანონი, რომ განაჩენის გადასინჯვა მოხდეს იმ პირის მიმართვის საფუძველზე, ვინც მიიჩნევს, რომ უკანონო განაჩენის მსხვერპლი გახდა, — აღნიშნა არჩილ კბილაშვილმა.**

ინტერპრესი

## ◉ წერილი სამეგრელოდან

# ზუგდიდელები როლანდ ახალაიას მიერ უკანონოდ გადაკეტილი ქუჩის გახსნას ითხოვენ!

**სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი საოლქო პროკურორის, ბაჩანა და დათა ახალაიების მამის, ზუგდიდის მაჟორიტარულ არჩევნებში ვითომცდა გამარჯვებულის როლანდ ახალაიას „საქმენი საგმირონი“ მთელი საქართველოსთვისაა ცნობილი. მან თავისი მოღვაწეობა ზუგდიდში ოფისის კეთილმოწყობითა და გამაგრებით დაიწყო, რომელსაც თან მრავალი ადამიანის ტანჯვა-წამება მოჰყვა. საოფისედ მან თვალი დაადგა ზუგდიდის ცენტრში არსებულ შპს „ზუგდიდსერვისის“ ოთხსართულიან შენობას, რომელშიც განთავსებული იყო სხვადასხვა ობიექტი და პრივატიზებული ფართობები.**

საქართველოს საწარმოთა მართვის სააგენტოს ბრძანების საფუძველზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სამეგრელო-ზემო-სვანეთის საოლქო პროკურატურისათვის გადაცემის მიზნით შპს „ზუგდიდსერვისის“ საწესდებო კაპიტალიდან ამოიღეს კედიას ქუჩის №5-ში მდებარე შენობის 1027,5 კვ.მ ფართი და ამ ფართზე დამაგრებული 441,8 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. ამ ფართობზე განთავსდა სამეგრელო-ზემო-სვანეთის საოლქო პროკურატურა, ისე რომ „ზუგდიდსერვისსა“ და საოლქო პროკურატურას შორის ხელშეკრულება არ დადებულა უსასყიდლო უზუფრუქტზე, რადგანაც ამ ფართობზე იყო პრივატიზებული და კერძო საკუთრების უფლებით დატვირთული.

როლანდ ახალაიამ უპრობლემოდ მიითვისა ეს შენობა, ქუჩაში გამოყარა იქ მომუშავე ადამიანები, გადაკეტა ამ შენობის წინ საავტომობილო ქუჩა, შემოავლო რკინის ღობე, დარგო ხეები და ქუჩა თავის დასასვენებელ სკვერად და სამსახური მანქანების სადგომად აქცია, სადაც შეღწევა ჩვეულებრივი ადამიანისათვის შეუძლებელი იყო და შიშის გამო ხმის ამოღებას ვერავინ ვერ ბედავდა, ამიტომაც ახალმა ხელისუფლებამ, უპირველეს ყოვლისა, როლანდ ახალაიას მიერ სკვერად და მანქანების სადგომად ქცეულ ქუჩას უნდა აღუდგინოს ძველი ფუნქცია. ამას ითხოვენ ზუგდიდელები.

* * *

**ზუგდიდელი გივი ჭითანავა 5 წელზე მეტი ეძებდა სამართალს. როლანდ ახალაიამ ის ამ შენობიდან გამოაძევა. „2001 წელს ყოველგვარი კანონის დაცვით სათანადო საბუთების საფუძველზე შევიძინე შპს „ზუგდიდსერვისის“ შენობის პირველ სართულზე 40 კვ.მ. ფართობი, რომელიც საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ დამიკანონა. ამ პრივატიზებულ ფართობში განთავსებული იყო აფთიაქი. არანაირი დაპირისპირება არც „ზუგდიდსერვისთან“ და არც ეკონომიკის სამინისტროსთან არ მქონია, სანამ არ მოვიდა როლანდ ახალაია. მას თვალში არ მოუვიდა ჩემი პრივატიზებული ფართობი და განიზრახა ჩემი გაგდება, ამიტომაც ჩემს წინააღმდეგ აამხედრა „ზუგდიდსერვისი“ და ეკონომიკის სამინისტრო, აიძულა ისინი ჩემთვის სამართლიანად გადმოცემული ფართობი ეცნოთ უკანონოდ. ფართობი წამართვეს. მივმართე ყველა სასამართლო ინსტანციას. იყო საპროტესტო აქციები, მაგრამ არაფერი არ გამომივიდა. იმ ხელისუფლების პირობებში შეუძლებელი იყო მესაკუთრეს საკუთარი უფლებები დაეცვა,** — აღნიშნა გივი ჭითანავამ.

ხუთწლიანი დავის შემდეგ გივი ჭითანავა შეეშვა ბრძოლას, რადგან ყოველგვარი იმედები გადაეწურა, თუმცა ახალმა ხელისუფლებამ მას კვლავ გაუჩინა იმედი. „მე გამაჩნია ყველა დოკუმენტი, რომელიც ჩემს სამართლიანობას დაამტკიცებს და დარწმუნებული ვარ, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში სამართლებრივი გზით დავიბრუნებ ძალით წართმეულს...

იმედია, არამარტო გივი ჭითანავა, არამედ ბევრი მისნაირი უკანონოდ დაჩაგრული ადამიანი იპოვის სამართალს.

ლადო ქირია,
ზუგდიდი

საredაქციო ფოსტიდან

# ხალხის ხმა

## თურმე დღეს უკვე ოპოზიციონერ სააკაშვილს გაუთანამედროვებივართ



**ხომ გახსოვთ, ბეშუმში სააკაშვილის დამუქრებულად ნათქვამი: ეგღა მაკლია, ჩემი აშენებული ქვეყანა ვიღაც მეოცნებეებს დავუტოვოო. ამას არა ხალხის მხარდაჭერის, არამედ არჩევნების ტოტალური გაყალბების იმედით ამბობდა, მაგრამ ვერ მივართვით. ყველა წინა არჩევნებისგან განსხვავებით, ხალხმა უჩვეულოდ იმარჯვა და ნაციონალები, მიუხედავად დიდი სამარცხვინო ჩალიჩისა, მაინც დამარცხდნენ...**

ეგრეთ წოდებულმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ვითომ აღიარა არჩევნებში დამარცხება, მაგრამ თან დაგვამუნათა: თუ არა მე და ჩემი გუნდი, საქართველო ისევ წარსულში ჩარჩენილი, ბნელი ქვეყანა იქნებოდაო. და ისეთი რამ აკადრა საქართველოს და ქართველ ხალხს, რაც არასოდეს არავის არ უკადრებია: ეს უმადური საქართველო და ქართველი ხალხი მე გავათანამედროვეო. ხედავთ, თვითონ აშკარად გასათანამედროვებელი, თანაც ძალიან ბევრი თვალსაზრისით, ნაციონალების ვაითავმჯდომარე ახალ მესიად მოგვევლინა!

ისე, რახან, გაგვათანამედროვა, სხვა რა გზა აქვს, უნდა შეეგუოს იმ საკადრის პასუხს, რომელიც გათანამედროვებულ ქართველთაგან მიიღო, და ნუღარ ფაფხურობს, თორემ ნამდვილად სასაცილო მდგომარეობაში იყენებს თავს.

**ლამარა სხილაძე,**
ლაგოდეხი.

## თეთრიც და შავიც აბანოში უნდა გამოჩნდეს



**ეს ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარე, ხალხში „ლოტოს კოჭად“ მონათლული დავით ბაქრაძე ბევრს რომ გვებაქიბუქება, ჩვენ შეგვიძლია ქვეყანაში სახელისუფლო კრიზისი შევქმნათო, ჯერ თავის არაერთ დანაშაულზე აგოს პასუხი.**

გამოვიდეს და საჯაროდ თქვას, სიმართლეს შეეფერება თუ არა ის ბრალდება, რომ მაგის ოჯახი ათი ათასობით ლარს ხარჯავდა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, პირად სატელეფონო საუბრებზე. ეს ისე, სანამ სხვა უფრო მძიმე დანაშაულებებს გამოუაშკარავებდნენ.

აი, ასეთი „სახელმწიფო მოღვაწე“ მაინც გალმა დავობს და კონსტრუქციული ოპოზიციონერობით გვემუქრება!..

**ნიკოლოზ ფეიქრიშვილი,**
კასპის რაიონი.

## ჩემოდნები გატენეს და...

**ხაზინიდან იჯიბავდნენ ათასებს, —**
**ხუთ-ხუთსა თუ ათ-ათსა თუ ოც-ოცებს;**
**მერე, როცა „ცოცხის საფრთხე“ გათვალეს,**
**ჩემოდნები გატენეს და მოცოცხეს...**

**რამაზ გორგიძე,**
ქ. თბილისი.

SIC!

# დონაძე შსს-დან მტკიცებულებებს აქრობს

**ვიდრე ხელისუფლებაში ახალი ძალები ოფიციალურად მოვიდოდნენ, „ნაცები“ თავიანთი ნამოქმედარის კვალის წაშლით არიან დაკავებული. აქრობენ და ანდგურებენ მათ მაკომპრომეტირებელ ნებისმიერ საბუთს.**

პრეზიდენტი იქამდეც კი მივიდა, რომ თვალთვალის სამსახურები შსს-ს დაქვემდებარებიდან გამოიყვანა და საკუთარი დაცვის სამსახურს მიუერთა, რათა „ოცნებას“ ხელში არ ჩავარდნოდა ფირები და დოკუმენტაცია იმის თაობაზე, ხელისუფლების დაკვეთით ეს სტრუქტურა რა სახის საქმიანობას ეწეოდა.

### „დონ“ გურამი



**შსს-ში დარჩა კიდევ ერთი სტრუქტურა, რომელსაც მეტად საინტერესო ვიდეო თუ აუდიო არქივი აქვს — პრესცენტრი. მას ფორმალურად ყოფილი უფროსი გურამ დონაძე ხელმძღვანელობს. დონაძე გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით, მერაბიშვილმა ხალხის თვალის ასახვევად პრესცენტრის უფროსობიდან გაათავისუფლა. მაგრამ იგი ყოფილ მინისტრთან, მის ახლო წრესთან იმდენად დაახლოებული პირია, რომ მაინც აგრძელებდა პრესცენტრის კურირებას. მინისტრთან და მის გარემოცვასთან მჭიდრო კავშირებისა და აქედან გამომდინარე, დიდი გავლენის გამო გურამ დონაძეს სამინისტროში „დონ გურამსაც“ ეძახიან. დღეს დადის „დონი“ სამინისტროს პრესცენტრში და იქიდან საარქივო კასეტებს ეზიდება. რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეთ ამ კასეტებს?..**

შსს-ს პრესცენტრის ერთ-ერთი ყოფილი თანამშრომლის (გვარს შეგნებულად არ ვასახელებთ), კერძო საუბრებიდან ირკვევა, რომ არსებობს ე. წ. „შავი“ ჩანაწერები გახმაურებული თუ გაუხმაურებელი ფაქტებისა.

იმავე წყაროს გადმოცემით არსებობს ვიდეოჩანაწერი გირგვლიანისა და მისი მეგობრის ტყეში გაყვანის და წამებისა. როდესაც ბარში ახალგაზრდებმა ახალაიას, მელნიკოვის, სანოძის, დონაძის და მათთან სუფრაზე მჯდომი შს მინისტრის მერაბიშვილის მეუღლის სალაყაიას მისამართით, „პედერასტები“ იძახეს, სუფრაზე მსხდომებმა ოპერატიული ჯგუფი გამოიძახეს და მას თან პრესცენტრის ოპერატორიც მოაყოლეს.

კადრებში კარგად ჩანს როგორ სცემენ გირგვლიანსა და მის ამხანაგს. ყინვაში ტანზე გახდას აიძულებენ. შემდეგ უხსენებენ ბარში (თუ რესტორანშიძ მათი მისამართით ნათქვამს და ეუბნებიან, ახლა ვნახოთ, ვინ არის „პედერასტიო“ და ახალგაზრდებს ცემითა და იარაღის მუქარით ერთმანეთთან სექსუალური კავშირის დამყარებას აიძულებენ. როდესაც საწადელს ვერ აღწევენ, სასტიკად სცემენ. შემდეგ აჩვენებენ მხოლოდ ძირს დაგდებულ, გასისხლიანებულ შიშველ სანდროს (მისი მეგობარი არ ჩანსძ და ასეთ მდგომარეობაში ტოვებენ.

დონაძის არქივს შემონახული აქვს მასალა რობაქიძის მკვლელობის შემდგომ განვითარებული მოვლენებისა. როდესაც პოლიციის მიერ მოკლულ ახალგაზრდას გვერდზე იარაღს უდებენ. ამ მასალის მონტაჟის შემდეგ დონაძე საზოგადოებას სატელევიზიო ეთერით ამცნობს, რომ მოხდა შეიარაღებული კრიმინალის ლიკვიდაცია.

ვაზაგაშვილთან დაკავშირებითაც არსებობს ფირი, სადაც აღბეჭდილია თუ როგორ მიზანმიმართულად ხდება ავტომანქანის ჩასაფრება. ისმის ნილბებიანებისათვის მითითება — წინ მჯდომი უნდა მოკვდესო! ვინ იჯდა წინ ჩვენი ინფორმატორისთვის უცნობია. თუმცა, ამას ახლა უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს. სისხლმოწყურებულებმა — ვაზაგაშვილი მაინც მოკლეს. თუ როგორ განვითარდა ოპერაცია სანაპიროზე, ამის ამსახველი კადრები მკითხველს ნანახი ექნება.

### სახელმწიფო საკუთრება კერძო კომპანიაში

**ვარდოსნების გახელისუფლებიანების და განსაკუთრებით შს მინისტრად ვანო მერაბიშვილის დანიშვნის შემდეგ, პრესცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. უახლეს მოწყობილობასა და აპარატურაზე დონაძე „რუსთავი-2“-ის ორ პროექტს ანხორციელებდა — „პატრული“ და „უბნის ინსპექტორი“. მაგრამ ორივე თემატურად იმ დონემდე მდარე იყო, რომ მალევე შეწყვიტა არსებობა.**

ამის შემდეგ ცოტა ხანში დონაძემ თავად გახსნა ტელეკომპანია „Real-TV“; როგორც ამბობენ, ძირითადი აპარატურა, სამონტაჟო მაგიდა და ა. შ. „დონ გურამმა“ სწორედ შსს-ს ბალანსიდან მოხსნა. თუმცა, ტელევიზიის საკითხს გარკვევა და დამტკიცება სჭირდება. ყველასათვის ცნობილია, რომ შსს-ში, საბუღალტრო დოკუმენტაციაში ჟურნალისტებს არავინ ჩააxედებს, ისევე როგორც დონაძის ტელევიზიის დოკუმენტაციაში.

რჩება ერთი გამოსავალი. ვიდრე ახალი ხელისუფლება ხელში აიღებს ძალაუფლებას, არასამთავრობოებმა, საზოგადოებამ მკაცრი კონტროლი დააწესონ, მოსთხოვონ დონაძეს არ გააქროს სერიოზული მამტკიცებელი მასალა, რათა შემდგომ გამოძიებას საშუალება მიეცეს ბოლომდე მიიყვანოს წინა ხელისუფლების მიერ ნახევრად გამოძიებული საქმეები.

**ზაზა ბილიხოძე**

სახელმწიფო მოწყობა

### ფარმაცევტულ ბაზარზე ყველა ჯგუფი თაღლითია

ამის შესახებ „რადიო პალიტრის“ გადაცემა „საქმის“ ეთერში ეკონომისტმა დემურ გიორხელიძემ განაცხადა.

— მხოლოდ ფარმაცევტულ ბაზარზე 800 მილიონზე მეტი ზემოგებაა. ფარმაცევტულ ბაზარზე მოქმედი ყველა ჯგუფი თაღლითია, რადგან ისინი საკუთარ მოქალაქეებს ძარცვავენ, — აღნიშნა გიორხელიძემ.

მისივე თქმით, ფარმაცევტული ბაზრის გარდა, 300 მილიონამდე ზემოგებაა ნავთობპოროდუქტების ბაზარზე, საბოლოო ჯამში კი მონოპოლისტები წელიწადში მოქალაქეების ხარჯზე 2 მილიარდ დოლარამდე ზემოგებას ნახულობენ.

### სოზარ სუბარის ძმა პატიმრობიდან საპროცესო გარიგებით გათავისუფლდა

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრობის კანდიდატის სოზარ სუბარის ძმა ვახტანგ სუბელიანი პატიმრობიდან საპროცესო გარიგების შედეგად გათავისუფლდა, — ამის შესახებ მისმა ადვოკატმა ირმა ჭკადუამ განაცხადა.

მისივე ცნობით, სააპელაციო სასამართლოს საპროცესო გარიგების დადასტურების მოთხოვნით საქმეში მონაწილე პროკურორმა მიმართა.

— საპროცესო გარიგების მიუხედავად, ვახტანგ სუბელიანს დანაშაული არ ულიარებია. მისი და მასთან ერთად დაკავებულების შემთხვევაში საპროცესო შეთანხმება მხოლოდ სასჯელის ნაწილში გაფორმდა. ვახტანგ სუბელიანს თავისუფლების 5 წლით აღკვეთა და 60 ათასი ლარის გადახდა ჰქონდა დაკისრებული. საპროცესო შეთანხმებით, პროკურატურამ მოითხოვა, რომ შეთანხმება ბრალის აღიარების გარეშე გაფორმებულიყო. მას მოხდილი სასჯელი აკმარეს და გაათავისუფლეს, — აღნიშნა ჭკადუამ.

მისივე თქმით, საპროცესო შეთანხმებას აუცილებლად გაასაჩივრებს და დაამტკიცებს, რომ სუბელიანი უკანონო პატიმარი იყო. სუბელიანს ანგარიშფაქტურების გაყალბების ბრალდებით 5-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. იგი 2010 წლის 26 ოქტომბერს დააკავეს.

### დაცვის პოლიცია თანამშრომლების გადანაწილებას იწყებს

**შინაგან** საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციამ თანამშრომლების სამსახურებრივი გადანაწილების ახალი გეგმა შეიმუშავა, — ამის შესახებ შს სამინისტრო იუწყება. სამინისტროს ცნობით, დაცვის პოლიციის ყველა ის თანამშრომელი, რომელიც თბილისის მერიის ობიექტებზე მუშაობდა, ერთი კვირის ვადაში ალტერნატიულ სამსახურებში გადანაწილდება.

— ყველა მათგანს შენარჩუნებული ექნება თანამდებობრივი სტატუსი, წოდება და ხელფასი. მიმდინარე კვირის განმავლობაში თბილისის მერია დააკომპლექტებს „თბილისის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურს„. შესაბამისად ეტაპობრივად გადავლენ ახალ სამსახურებში დაცვის პოლიციის თანამშრომლები. შინაგან საქმეთა სამინისტრო სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ყველა მათგანისთვის უკვე მოძიებულია ახალი სამუშაო ადგილი, — ნათქვამია შს სამინისტროს ინფორმაციაში.

### ჭიათურაში მაღაროელები გაიფიცნენ

**ჭიათურაში** დილიდან მაღაროელების გაფიცვა მიმდინარეობს. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი



იუწყება, „ჭიათურმანგანუმის“ თანამშრომლები აცხადებენ, რომ იაფად არიან დაქირავებულები, ასრულებენ უმძიმეს სამუშაოებს მძიმე პირობებში.

მათივე თქმით, სამუშაო პირობების გაუმჯობესების გარდა, კიდევ ერთი მოთხოვნაა, კვების პირობების მოწესრიგება და ხელფასების ზრდა.

ამ დროისთვის გაფიცულია 400 მუშა და, როგორც გაფიცულები ამბობენ, მათ კიდევ შეემატებათ სხვა მუშებიც.

მუშებს უკვე შეხვდა ჭიათურის მაჟორიტარობის გამარჯვებული კანდიდატი მალხაზ წერეთელი. მისი განცხადებით, საწარმოს დიდი ნაწილი გაჩერებულია, მხოლოდ რამდენიმე ქარხანა მუშაობს.

ჭიათურის მაღაროებს კომპანია „ჯორჯიან მარგანეზი“ ფლობს.

ინტერპრესი

◎ ნაცების „ნაკეთები“ საქმეები

# როცა ტყუილი უფასურდება, ხოლო პური ძვირდება!

## მონოპოლიური ბაზარი ხაბაზებს ხელფეხს უბორკავს



**ერთ ჩემ ადრინდელ ინტერვიუში, რომელიც მეწარმისგან ავიღე, ვწერდი, რომ ყველა იმ პროდუქტთან შედარებით, რასაც ახლა საქართველოში ვაწარმოებთ, ყველაზე უფრო მეტად ტყუილი გაუფასურდა, პური კი შესაბამისად რატომღაც გაძვირდა. ამაში, რა თქმა უნდა, ბრალი ნაცების ხელისუფლებას და მის თითლიბაზ თავკაცს მიხეილ სააკაშვილს მიუძღვით, რომელთაც თავიანთი ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში იმდენი ტყუილი დაახვავეს, რომ მან (ტყუილმა), ჭარბწარმოების გამო, მომხმარებელი თითქმის მთლიანად დაკარგა. ეს გამოჩნდა კიდეც ახლახან გამართულ საპარლამენტო არჩევნებში, რომელსაც ხალხმა საკუთარ კეთილდღეობას ჩაბღაუჭებული ხელისუფლება პოლიტიკურ მოუსავლეთში გაგზავნა.**

ასეა, ხალხმა უქნარა და თავნება მთავრობა კი მოისროლა, მაგრამ მის მიერ „ნაკეთები“ საქმეები ხომ დარჩა? ამათგან სოციალურად ყველაზე უფრო სათუთი და მგრძნობიარეა ხორბლისა და პურის ბაზარი, რომლის მოწესრიგებასა და ნორმალურ კონკურენტულ გარემოში ჩაყენებას ძველმა ხელისუფლებამ თავი ვერა და ვერ მოაბა. წლის დასაწყისში საქართველოში ტომარა ფქვილის ფასმა 40 ლარიდან 31 ლარამდე დაიწია, მაგრამ გამომცხვარი პურის ფასი იგივე დარჩა, რაც წინა წლის ზამთარში იყო, როცა ტომარა ფქვილის ღირებულება 60 ლარს უკაკუნებდა. ამ დღეებში ფქვილის ფასმა კვლავ მოიმატა (ერთი ტომარა 45-50 ლარი გახდა) და ქვეყანაში სიტუაცია უმალ დაიზაფრა – ხალხში ხმა გავრცელდა, დამდეგი კვირიდან პური სულ მცირე 5-10 თეთრით გაძვირდებაო(!).

არჩევნებში გამარჯვებისა და იმ ღიმილიანი განწყობის შემდეგ, რაც ხალხს ახალი მთავრობის მოსვლის იმედით გაუჩნდა, პურის გაძვირების უსიამოვნო მოლოდინი სპეციალურად აგორებული საფრთხობელა ხომ არ გახლავთ? ეს ყველაფერი ჭორია თუ რეალობით ნასაზრდოები? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მომხმარებელს დამაიმედებელს ვერაფერს ეუბნება ხორბლისა და პურპროდუქტების ასოციაციის ხელმძღვანელი **ლევან სილაგავა,** რომელმაც პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ თუ ფქვილზე ფასის ზრდა გაგრძელდა, არ არის გამორიცხული, პურის ფასმაც მოიმატოს. ჰოდა, სწორედაც რომ შუა ოქტომბრისთვის პურიც გაძვირდა. საცალო სავაჭრო ქსელში ქარხნული პურის ფასმა 5, ხოლო თონის პურმა 10 თეთრით მოიმატა.

ეს რომ არ მომხდარიყო, მთავრობა მოვალე იყო, ჰქონოდა ხორბლის გარკვეული მარაგი და ასეთ კრიტიკულ სიტუაციებში მდგომარეობა დაერეგულირებინა. მეზობელი აზერბაიჯანის ხელისუფლებამ, მაგალითად, მსგავსი სიტუაცია იმით განმუხტა, რომ ხორბალზე დამატებული ღირებულების გადასახადი მოხსნა.

– ჩვენთან მსგავსი არაფერი ხდება, – მეუბნება თბილისის მეოთხე პურის ქარხნის დირექტორი, დედაქალაქის პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე **მალხაზ დოლიძე,** – ახალ მთავრობას, რომლის იმედადაც ვართ, ჯერ არ დაუწყია ფუნქციონირება, ძველს კი, რომელიც თავს არჩევნებით მოსული ხელისუფლების ოპოზიციად აცხადებს, პურზე ფასის ზრდა სულ არ ანაღვლებს. არ გამოვრიცხავ, პროდუქტებზე ფასები თუ აიწევს, ესიამოვნოს კიდეც.

**– ადრე როგორ იყო?**

– ადრე რაც იყო, ყველასთვის ცნობილია, ისევე როგორც ქვეყნის სხვა მეწარმენი, ხელისუფლებისგან მეც მუდმივი წნეხის ქვეშ ვიყავი, გვაშინებდნენ, გვაყაჩაღებდნენ, ჯარიმებით სულს გვხდიდნენ და თუ არ დავემორჩილებოდით, დაჭერითაც გვემუქრებოდნენ. ამ ბოლო არჩევნების წინ სოფლის მეურნეობის მინისტრმა გოროზიამ, მაგალითად, მეპურეები დაგვიბარა და გაგვაფრთხილა, პურზე ფასის აწევა არავინ გაბედოს, თორემ თუ საქმე ცუდად წაუვა, საკუთარ თავს დააბრალოსო. როცა ამას ამბობდა, მინისტრს სულაც არ გახსენებია ის ფაქტორები, რომლებიც პურის ფასის ზრდის აუცილებლობას განაპირობებენ და სრულებითაც არ არიან დამოკიდებული პურის მცხობლის ნებასურვილზე.

**– მაშინ გვითხარით, ბატონო, პურის ფასი რა ფაქტორებზეა დამოკიდებული?**

– პურზე ფასების ზრდა ბევრი კომპონენტით არის განპირობებული, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ისინი არავის ახსენდება და ყველა რეაქცია და უარყოფითი ემოცია, რაც ფასის თუნდაც უმნიშვნელო მატებას მოსდევს, მცხობელზე ფოკუსირდება. არავის ახსენდება არც ხორბლის შემომტანი და არც მისი გადამმუშავებელი. ყველაზე გულდასაწყვეტი ის გახლავთ, რომ ჟურნალისტები და სხვადასხვა ორგანიზაციების თავკაცები მხოლოდ ხაბაზებს სთხოვენ პასუხს, თითქოს მათი კაპრიზებით იცვლებოდეს ფასები, რაც რბილად რომ ვთქვათ, არასწორია. არც პურის ფასსა და არც ხარისხში უკვე რამდენიმე წელია მცხობელს არაფერი დაუტოვეს, მას უბრალოდ არაფერს ეკითხებიან.

**– როგორც გატყობთ, თქვენ კენჭებს ხორბლის შემომტანებისა და ხორბლის გადამმუშავებლების მისამართით ისვრით. იქნებ აგვიხსნათ, პურის ფასთან ისინი რა დამოკიდებულებაში არიან?**

– საქმეც ეგ არის, რომ ახლო, შეიძლება ითქვას, „მეგობრულ“ დამოკიდებულებაში არიან. ვილაპარაკოთ კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით. ფქვილის გაძვირება არჩევნებამდე 32 ლარიდან (ტომარა ფქვილზეა საუბარი) დაიწყო და არჩევნებისთვის უკვე 38-ს მიაღწია. ამის შემდეგ ფასი კიდევ 7-9 ლარით გაიქცა და 50-ს მიუკაკუნა. ერთდროულად ყველა წისქვილკომბინატი ამ ფასს აწესებს და თავი რომ მოიკლა, კაპიკნაკლებადაც არ მოგცემს. თუ იძვირე, გეტყვიან, უფრო ნაკლები მარნეულში ღირს და შეგიძლია იქ შეიძინოო. რა თქმა უნდა, მარნეულში შედარებით ნაკლებ ფასში იყიდი, მაგრამ ტრანსპორტირებისთვის ფული დაგეხარჯება და იგივე დაგიჯდება.

**– გინდათ თქვათ, რომ წისქვილკომბინატებს შორის კარტერული გარიგებებია?**

– მე პროკურორი არა ვარ, ეს დავადგინო, მაგრამ სხვა რით შეიძლება მათი ქმედება ავხსნათ? ფაქტია, რომ პურის სიძვირის მთავარი მიზეზი მონოპოლიური ბაზარია, რომელიც ხელისუფლების წაყრუებითა თუ ხელდასხმით მეწარმეებს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში მუშაობის საშუალებას არ გვაძლევს. საქართველოში 3 წელიწადზე მეტია, გადაიკეტა ფქვილის ბაზარი, რამაც მეპურეებს ნედლეულის თავისუფალი არჩევანის საშუალება მოგვისპო და მთლიანად მონოპოლისტებზე დამოკიდებული გაგვხადა. ბაზრიდან გაქრა უკრაინული, რუსული, ყაზახური, თურქული ფქვილიც კი, ახლა კი პროდუქტის ფასს განსაზღვრავს ხორბლის მსხვილი შემომტანი, ფირმა „აგრიკომი“, რომელიც თვითონ რა ფასად ყიდულობს ხორბალს და რა გარიგებებს აწარმოებს უცხოურ ფირმებთან, ალახმა უწყის, მას შემოაქვს ხორბალი და თავის დაწესებული ფასებით აძლევს წისქვილკომბინატებს, რომლებიც გადაამუშავებენ მას და ასევე გადიდებულ ფასს ადებენ. ამიტომაც მიაღწია ფქვილის ღირებულებამ შარშან საქართველოში რეკორდულ მაჩვენებელს (ტომარა 60 ლარი გახდა). ეს მაშინ, როცა მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთში, სადაც მონოპოლია არ ბატონობს, ფქვილი გაცილებით იაფად იყიდება.

**– ხომ ვერ გვეტყვით, ფქვილის ბაზარი რატომ გადაკეტეს და აქცენტი ხორბლის გადამმუშავებელ საწარმოებზე რატომ გადაიტანეს?**

– ბრმა რასა ჩიოდა და თავის ორთავ თვალსაო. მეც ეგ მაწუხებს, მინდა გავიგო, რატომ აირჩიეს ამ პრინციპით მუშაობა, მაგრამ დღემდე ვერაფერი დამიდგენია. ქვეყნის სათავეში მსხდომთ რომ ჰკითხო, გეტყვიან, ამას იმიტომ ვაკეთებთ, ადგილობრივი წისქვილები დავასაქმოთ და მეორეც – ხალხს ჯანსაღი პროდუქცია მივაწოდოთო. სინამდვილეში არც ერთია და არც მეორე. კაციშვილმა არ იცის წისქვილებს, რომლებიც მთლიანად აზერბაიჯანელებმა შეისყიდეს, როგორი ხარისხის ხორბლით ამარაგებენ იმპორტიორები, ან საიდან ჩნდება პურში ეგრეთ წოდებული „კარტოფილის ჩხირი“, რომელიც საზოგადოებაში ასეთ შეშფოთებასა და უკმაყოფილებას იწვევს.

**– მაინც საიდან ჩნდება, იქნებ თქვენ მაინც აგვიხსნათ?**

– საიდან ჩნდება და – ნიადაგიდან. იგი ხორბალს მიწიდან მოსდევს და ფქვილსა და ცომში, შემდგომ კი პურში იჩენს თავს. თუ ხორბალი დაფქვის წინ კარგად გაირეცხა, მაშინ გამორიცხულია ასეთი ჩხირის მოხვედრა ფქვილში. მაგრამ საკითხავია, ჩვენი წისქვილკომბინატები რეცხავენ კი იმპორტირებულ ხორბალს წყალში, რომლის ერთ კუბმეტრში ისინი 4 ლარსა და 20 თეთრს იხდიან? საეჭვოა, დიდად საეჭვოა, რომ რეცხავდნენ(!). ასეთი ფქვილის მოხმარება კი ყოველთვის გარკვეულ რისკებს იწვევს და შედეგიც ნათელია.

ვისაც ეს პრობლემა აწუხებს, ის უპირველესად ფქვილის ხარისხით უნდა დაინტერესდეს და არა გამომცხვარი პურის ჩხიკინითა და დანაშაულის ხაბაზებზე გადაბრალებით, რომლებსაც ფქვილის არჩევანის საშუალება არა აქვთ. მათ ჩვენ კი არა, უნდა მიმართონ ქვეყნის მამებს, – გახსნან ფქვილის ბაზარი, განვითარდეს ჯანსაღი კონკურენცია, როგორც მეწარმეებს ისე მომხმარებლებს მიეცეთ საუკეთესო არჩევანის საშუალება. თუ ეს მოხდება, მერწმუნეთ, ფქვილის ხარისხიც გაუმჯობესდება და ფქვილსა და პურზე ფასების უსაშველო ზრდაც გაქრება.

**– ბატონო მალხაზ, თქვენ გარდა იმისა, რომ მეწარმეობას ეწევით, ამავე დროს თბილისის პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარეც ბრძანდებით და აქედან გამომდინარე, ნუთუ ამ პრობლემებს, რაზეც ჩვენთან საუბრობთ, არსებული ხელისუფლების წინაშე მთელი სიმწვავით არ აყენებდით?**

– სწორედ მაგიტომ, რომ ვაყენებდი და მათი გაგებით, „ენას ვატლიკინებდი“, აკი დროებით გასაჩუმებლად, საპატიმროშიც გამომკეტეს. რომ ვეკითხებოდი, რატომ დამიჭირეთ-მეთქი, პასუხს ვერ მაძლევდნენ. ან რა უნდა ეპასუხათ, როცა დასაჭერები თავად იყვნენ და ჩემნაირ პატიოსან მეწარმეებს აქეთ ედავებოდნენ.

**– მადლობა ღმერთს, ის ყველაფერი წარსულს ბარდება, ხელისუფლებაში მოსული „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი მეწარმეებს პირდება, რომ ბიზნესს მთავრობის ბორკილებისგან მთლიანად გაათავისუფლებს, ბაზრიდან სამუდამოდ აიბარგებიან მონოპოლისტები და ადგილს საბაზრო ეკონომიკის პირმშოს – თავისუფალ და ჯანსაღ კონკურენციას დაუთმობენ.**

– მთელი ცხოვრება მაგაზე ვოცნებობდი და თუ ეს ახდება, თუკი მეწარმეებს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში მუშაობის საშუალება მოგვეცემა, გარწმუნებთ, ქვეყნის ეკონომიკა მალევე მოღონიერდება, მეწარმეც მეტ სარგებელს ნახავს და ხალხიც, რასაც ნაცების ხელისუფლება არჩევნების წინ ქულების დასაგროვებლად გვპირდებოდა.

**ოთარ ხუციშვილი**

◎ ზოგ-ზოგთა პროგნოზები

# მოსალოდნელია საბოტაჟი

**მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერის სანდრო ბრეგაძის ინფორმაციით „ნაციონალური მოძრაობა“ და მოქმედი ხელისუფლება საბოტაჟს გეგმავს.**



**როგორც ბრეგაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, საბოტაჟს ისინი რეგიონებში გეგმავენ, ხოლო საბოტაჟი ითვალისწინებს იმას, რომ მაქსიმალურად ხელი შეეშალოს მომავალი მთავრობის მუშაობას რეგიონებში.**

**– დაგეგმილია საბოტაჟი. მაქვს ინფორმაცია, რომელიც არის დადასტურებული და მის განხორციელებას „ნაციონალური მოძრაობა“ რეგიონებში აპირებს. ამაზე მითითებები გაცემულია სოფლის გამგებლებზე, რაიონის გამგებლებზე და პრეზიდენტის რწმუნებულებზე. საბოტაჟის განხორციელება გულისხმობს იმას, რომ არ იყოს გათვალისწინებული ის ახალი ინიციატივები, რომელსაც მომავალი მთავრობა წამოჭრის, – განაცხადა სანდრო ბრეგაძემ.**

**მისივე თქმით, ამის თავიდან აცილების ერთ-ერთი გზა არის, რომ მოეხსნას პრეზიდენტის რწმუნებულებს ის გავლენა, რაც ამ დროისთვის აქვთ.**

**– პრეზიდენტის რწმუნებულები არიან ისეთი ოდიოზური ფიგურები, მაგალითად როგორიც არის ზურაბ ჭიაბერაშვილი, რომელიც ყველაფერს განახორციელებს, თუნდაც, ამ საბოტაჟის შესაქმნელად. ამიტომ მათ უნდა მოეხსნათ გავლენა, უნდა ჩამოექრათ ბიუჯეტის მართვის უფლება და პრეზიდენტის რწმუნებულს უნდა ჰქონდეს მარტო საკუთარი კაბინეტი, საკუთარი მდივანი და უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ ერთი მანქანა და არ უნდა ჰქონდეს ის გავლენები, რაც მას გააჩნია, – განაცხადა სანდრო ბრეგაძემ.**

**მისივე თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები ეუბნებიან რეგიონის, რაიონისა და სოფლების ხელმძღვანელობას, რომ ეს საბოტაჟი საბოლოოდ გამოიწვევს რევანშს იმ მარცხისთვის, რომელიც „ნაციონალურმა მძრაობამ“ იგემა პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში.**

ინტერპრესი

# „არა არის რა დაფარული“...

***საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ აჭარაში აშკარად დაეტყოთ ადამიანებს, რომ ისინი ხმამაღლა ალაპარაკდნენ. ერთმანეთთან შეხვედრისას შიშით აღარ იხედებიან აქეთ-იქით, ვინ გვისმენს და ვინ სად დაგვასმენსო. ალაპარაკდნენ ის ადამიანები, რომლებიც აწ უკვე ყოფილი ხელისუფლების ტერორქვეშ იმყოფებოდნენ, ვინც რეპრესირებული იყო, ვინც სამსახურებიდან სხვადასხვა საბაბითა და იარლიყით გაყარეს, მათ ადგილას კი არაპროფესიონალი და უცოდინარი საკუთარი ნათესავები დანიშნეს, თანაც მაღალი ხელფასები და პრემიები დაყარეს თავზე. აჭარაში ნაცხელისუფლება და მათი ამფსონები, როგორც ჩანს, არ აპირებენ პოზიციების დათმობას. არც ერთი სახელმწიფო სტრუქტურის ხელმძღვანელი ჯერ არ გადამდგარა. თუმცა იგი ალაპარაკდა, ვინც წლების განმავლობაში სახლიდან გამოსვლას ვერ ბედავდა და საკუთარ თავს შინაპატიმრობა მიუსაჯა, რათა სხვები არ დაეყენებინა ნაციონალების დარტყმის ქვეშ. აჭარის რევოლუციიდან დღემდე ამ რეგიონში არაერთი გახმაურებული საქმე ელოდება დღის სინათლეს. მათ შორისაა ფერიის მთაზე მშენებარე ეკლესიის დანგრევის ფაქტი.***

***ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მაშინდელი გამგებელი ბადრი შავლიძე 4 წელია ჟურნალისტებს არ შეხვედრია. იგი ამ ხნის განმავლობაში დუმილს ამჯობინებდა, რაც გუშინ „საქართველოს რესპუბლიკასთან“ დაარღვია. გთავაზობთ მასთან საუბრის ჩანაწერს მცირე შემოკლებით.***

— მე ხელვაჩაურელი ვარ. დავიბადე და სკოლა დავამთავრე აქ. ვიმსახურე საბჭოთა ჯარში. შემდეგ დავამთავრე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ვმუშაობდი რუსეთში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ დავბრუნდი საქართველოში, ხელვაჩაურში. ვარდების რევოლუციის წინ ვიყავი ციტრუსის გადამმუშავებელი ქარხნის ხელმძღვანელი. რადგან ის საწარმო სხვადასხვა მაქინაციებით ხელში ჩაიგდო „ალორძინებამ“ და ფაქტობრივად გაძარცულ-გაუბედურებული დარჩა, მე ისევ რუსეთში წავედი. 2005 წელს ჩამოვედი მშობლიურ რაიონში. აქ დიდხანს დარჩენას არ ვაპირებდი, მაგრამ დამიბარა ლევან ვარშალომიძემ და შემომთავაზა თავის გუნდში მუშაობა — შემომთავაზა ხელვაჩაურის რაიონში გამგებლის მოადგილის პოსტი. დავთანხმდი.

2006 წელს დავინიშნე გამგებლად. ეს პერიოდი ძალიან რთული იყო. დაახლოებით ისეთი, როგორიც ახლაა. ანუ ერთი ხელისუფლების მაგივრად მოვიდა ახალი ხელისუფლება და ყველგან იყო სირთულეები. კერძოდ, იყო ოპოზიცია, იყვნენ ასლან აბაშიძის მომხრეები, რომლებიც ყველგან და ყველაფერში გვეწინააღმდეგებოდნენ. სამუშაო დროის დიდ ნაწილს ვიღაც-ვიღაცების დაწყნარება-დაშოშმინებას ვანდომებდი. პირველ დღეს რომ მივედი სამსახურში, ისეთი ამბავი იყო, საღამოს ვიფიქრე, ხვალიდან აღარ მოვალ-მეთქი. მაგრამ ვთვლიდი, რომ ჩემს ქვეყანას აქ ვჭირდებოდი და თავდაუზოგავად შევუდექი მუშაობას. ყველაზე ძნელი იყო რაიონის ტერიტორიის გაწმენდა უსახური ჯიხურებისა და ნაგებობებისგან. არადა, ხალხი ამით ირჩენდა თავს, მაგრამ მათი დატოვებაც არ შეიძლებოდა. ჩემამდე ეს ვერც ერთმა გამგებელმა ვერ მოახერხა. წარმოიდგინეთ, ორას ჯიხურზე მეტი ავიღეთ, ანუ ვასრულებდით შავ სამუშაოს. ვდგამდით არაპოპულარულ ნაბიჯებს. მახსოვს, ადლიაში ფუნქციონირებდა რამდენიმე კუსტარული ბენზინგასამართი სადგური, რომელთა აღება ძალიან რთული იყო, რადგან, მეპატრონეები ყოველმხრივ გვეწინააღმდეგებოდნენ. იდგა ერთი წივილ-კივილი, გაწევ-გამოწევა. თუმცა, ეს სირთულეებიც დავძლიეთ. მართალი გითხრათ, მოვიმდურე არაერთი ადამიანი, მათ შორის ბევრი ჩემი ახლობელიც, მახსოვს, როცა აეროპორტისკენ მიმავალი ახალი გზა გაყავდათ, პრობლემები შეიქმნა მოსახლეობასთან ურთიერთობაში. ის გზა პირდაპირ უნდა გასულიყო ძველ გზაზე. მაგრამ რატომღაც პრეზიდენტმა დაიჩემა და იგი მოსახლეობის ბაღებზე გაატარეს, ამასაც დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა. სხვა გზა არ იყო და ისევ მე შევრჩი პირისპირ მოსახლეობას. ასე იყო თუ ისე, ესეც მოვაგვარეთ. ჩამოყალიბდა აზრი, რომ მე ვიყავი კარგი შემსრულებელი. როგორც პრეზიდენტი იტყვის, მაგარი შემსრულებელი ვიყავი. ამ ხელისუფლებამ ბევრი ისეთი საქმეც გამაკეთებინა, რაც დღემდე სანანებელი მაქვს. ეს შავი ლაქაა ჩემს ცხოვრებაში.

**— კონკრეტულად, რა იყო ის რასაც ნანობთ?**

— უპირველესად ეს ეხება ფერიის მთაზე ეკლესიის დანგრევას. მე ხომ ვთქვი ბევრი არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმა მოგვიწია-მეთქი, მაგრამ ამაზე უარესი არაფერი არ ყოფილა. ეკლესიის დანგრევა ბრალად მე დამდეს, ყველა სტრუქტურა გვერდზე გადგა, მთავარ დამნაშავედ კი ხელვაჩაურის გამგეობა დარჩა. დღესაც კი ამ ეკლესიის დანგრევაში ფიგურირებს ჩემი გვარი. ეს კი ჩემთვის ყველაზე მტკივნეულია.

**— ბატონო ბადრი, ვინ იყო ის პიროვნება, რომელმაც გიბრძანათ, თუ დაგავალათ, დაგენგრიათ მშენებარე ეკლესია?**

— ასეთი ბრძანება მე არ მიმიღია და არც შემისრულებია. ჩემი როლი ამ საქმეში ასეთი იყო. ფერიის მთაზე მისასვლელი ფაქტობრივად იყო დანგრეული, ეკალ-ბარდით დაფარული. ასეთ ვითარებაში მთაზე ჩუმად გაიჭრა და ჩაისხა საძირკველი. სხვათა შორის, ის ეკლესიაც არ იყო. სამრეკლო შენდებოდა. ერთ დღეს მითხრეს რომ მთაზე მიმდინარეობდა უკანონო მშენებლობა. ამ საქმეში გარეული იყო მათე ტაკიძეც, შემდგომ აჭარის განათლებისა და კულტურის მინისტრი. აქ ვიღაც-ვიღაცები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ ვის დაასწრებდა. ვიმეორებ, მშენებლობა უკანონოდ მიმდინარეობდა.

**— როგორ, არც ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვა იყო და არც დამტკიცებული პროექტი?**

— არა, არც ერთი იყო და არც მეორე — მითხრეს, რომ ჩემს წინამორბედ გამგებელთან იყო შეტანილი საპატრიარქოს წერილი ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით. მაგრამ რამდენადაც ვიცი, ეს წერილი არც განხილულა. წესით ჯერ მიწის ნაკვეთი უნდა გამოიყოს, შემდგომ კი პროექტი უნდა დამტკიცდეს და მშენებლობის ნებართვაც ამის შემდგომ გაიცემა. ეს პროცედურები არ იყო გავლილი. ამიტომაც მშენებლობა თვითნებურად ითვლებოდა. მე კანონი უნდა აღმესრულებინა და ასეც მოვიქეცი. მშენებლობა შევაჩერებინე. მაგრამ ფეხზე დადგა მთელი საქართველო, ერიც და ბერიც. მალე მთაზე ორასი თუ სამასი კაცი ავიდა და დაიწყო აქციები. იქ იყო მამა სერგიც. ეკლესიის დანგრევის წინა დღეს მამა სერგიმ, რომელიც იქ მრევლთან ერთად იყო, განმიცხადა, სანამ მშენებლობა არ დამთავრდება, ჩვენ აქედან ფეხს არ მოვიცვლითო. ამის გაცხადებიდან მეორე დილას იქ ეკლესია აღარ იყო, იგი დაენგრიათ.

იმ დროს ხელვაჩაურის „კუდის“ უფროსი იყო ბოლქვაძე. საღამოთი მან დამირეკა და მკითხა, რას აპირებთო. მე ვუთხარი, მივცეთ სამღვდელოებასა და მრევლს ორი-სამი დღე. თავად მოილაპარაკებენ, რა გადაწყვეტილებასაც მიიღებენ, იმის მიხედვით ვიმოქმედოთ-მეთქი. მეორე დილით მშენებარე ეკლესია უკვე დანგრეული იყო.

**— იმ მთაზე, როგორც თქვენ თქვით, ასვლა არ იყო ადვილი. არადა, შენობის დასანგრევად ტექნიკაც იყო გამოყენებული და, რა თქმა უნდა, ადამიანთა რესურსიც. ისე ხომ არ იქნებოდა.**

— მართალი ხართ. საქმეც ის არის, რომ არავინ არაფერი არ იცის, არავის არაფერი არ დაუნახავს.

**— თქვენ პირადად არც ბრძანება გაგიციათ და არც ის იცით ვინ მოიმოქმედა ეს?**

— რა თქმა უნდა, მე ამის შესახებ არაფერი არ ვიცოდი. მაგალითად, თუ პრეზიდენტმა ეკლესიის დანგრევა უბრძანა ლევან ვარშალომიძეს, ხოლო ამ უკანასკნელმა დამავალა მე, მე ხომ უნდა დამევალებინა ვიღაცისთვის? ეს ამბავი ხომ გახმაურდებოდა? მაგრამ იცით, რა მოხდა? ყველა დაიმალა, ჟურნალისტებთან არავინ არ გამოჩნდა. დაიმალა საკრებულოს თავმჯდომარე, დაიმალა ლევან ვარშალომიძე. მან ასეთ დროს იცის დამალვა. ეკლესია ჯერ კიდევ არ იყო დანგრეული, როცა ლევან ვარშალომიძემ მითხრა, რომ ინტერვიუ არ მიმეცა არავისთვის. გამოხდა ხანი და აჭარის ტელევიზიის დირექტორმა თეა ცეცხლაძემ მაცნობა, რომ ლევან ვარშალომიძემ თქვა, ინტერვიუ უნდა მისცეთ ტელევიზიასო. მეც მივეცი. ინტერვიუს დასასრულს ვამბობდი, რომ რადგან სამღვდელოებას უკვე ნაკურთხი აქვს ეკლესია, მე მის დანგრევას არ ვაპირებ-მეთქი. საინტერესოა, რომ ჩემი საუბრის ეს ნაწილი ტელევიზიამ ეთერში არ გადასცა.

**— სხვათა შორის იმ დღეებში მე პირადად ვიყავი თქვენთან ინტერვიუზე, თუმცა თქვენმა თანაშემწემ უარი მითხრა, „საქართველოს რესპუბლიკას“ ამ საკითხთან დაკავშირებით ბატონი ბადრი ინტერვიუს არ აძლევსო. მე ის მაკვირვებს, როგორ დარჩა შეუმჩნეველი ფერიის მთაზე ტექნიკის ასვლა. შენობის დანგრევა და მერე ამ ტექნიკის გაქრობა?**

— საქმეც ის არის, რომ იმ საღამოს მამა სერგიმ მრევლის წინაშე მითხრა, სანამ მშენებლობა არ დასრულდება, ჩვენ აქ ვიდგებითო. მეორე დღეს კი იქ ნანგრევები დაგვხვდა.

**— ბატონო ბადრი, თქვენი მინიშნება მაფიქრებინებს, სამღვდელოება ხომ არ ერია ამ საქმეში, ხომ არ იყო ეს პროვოკაცია?**

— არ არის გამორიცხული, რომ ეს იყო პროვოკაცია. რადგან მაშინ გავრცელდა ხმები, რომ ბადრი პატარკაციშვილმა უთხრა ვიღაცებს, დაანგრიეთ ეგ შენობა და მე მოგცემთ ფულს უფრო დიდი და უკეთესი ეკლესიის ასაშენებლადო. თუმცა, მე ვერ ვიტყვი სასულიერო პირები ერიენ ამ საქმეში-მეთქი. ამის საფუძველი არა მაქვს.

საოცარი ისაა, რომ სპეცსამსახურებიც ვერ ჩაატარებდნენ შეუმჩნევლად ამ ოპერაციას, რადგან იქ აუარება ხალხი იყო. ჩემს დონეზე ამის გაკეთება შეუძლებელი იყო.

ახლა მეორე არგუმენტს მოგახსენებთ, ჩემი უდანაშაულობის შესახებ. თუ მე, გამგებელმა, ზემდგომის ეს ბრძანება შევასრულე, სულ მალე რატომ დავრჩი უმუშევრად და ოთხი წელი, ფაქტობრივად, სახლიდან რატომ ვერ გამოვდიოდი? მე რომ დამენგრია ეკლესია, 4 წელი უმუშევარი ვიქნებოდი? 2008 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების დროს თბილისმა მე მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების სიაში შემიყვანა. ეს რომ გაიგო ლევან ვარშალომიძემ, მაშინვე გაიქცა თბილისში და ჩემი კანდიდატურა ამოაგდებინა. მოხდა უცნაური რამ. როცა ნინო ბურჯანაძე ჩამოვიდა აჭარაში მაჟორიტარი კანდიდატების წარსადგენად, იმ სიაში მე მაინც აღმოვჩნდი. ამან გადარია ლევან ვარშალომიძე და ისევ ამომიღეს სიიდან. ბურჯანაძეს მე აღარ დავუსახელებივარ, ისე წავიდა თბილისში.

**— ესე იგი, ამ დროს თქვენსა და ლევან ვარშალომიძეს შორის შავმა კატამ გაირბინა, რა იყო ამის მიზეზი?**

— ყველაფერი დაიწყო 2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებით. იმ დროს სააკაშვილის რეიტინგი ხელვაჩაურის რაიონში დაბალი იყო. ჩვენი აქტიური საქმიანობით რაიონში მდგომარეობა უკეთესობისკენ წავიდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ხელვაჩაურში 50-60 პროცენტამდე გაიზარდა პრეზიდენტის რეიტინგი, ბათუმში და ქობულეთში კი დაიკლო. ერთ დღეს მირეკავს ლევან ვარშალომიძე და მეუბნება, შენ სოფლებში რა შტაბები შეგიქმნიაო. ვუპასუხე, საკრებულოებთან ამ გზით მჭიდრო კავშირი მაქვს-მეთქი. მითხრა, შენ, გამგებელს, ამის უფლება არა გაქვს და თავი დაანებე არჩევნებსო, არჩევნებს მიხედავს თამაზ დიასამიძეო. ეს კაცი ლევან ვარშალომიძის საყვარელი პიროვნებაა. ეს ისაა, ჯერ რესპუბლიკელი რომ იყო, მერე ნაცმოძრაობაში გადავიდა. ამ არჩევნების წინ კი ისიც დატოვა. ლევან ვარშალომიძემ დიასამიძის გარდა არჩევნებში ჩართო ნუკრი სირაბიძე, როინ მალაყმაძე და ვაჟა ბოლქვაძე (ვაჟა ბოლქვაძე შემდგომ აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი გახდა, ხოლო როინ მალაყმაძე ერთდროულად რამდენიმე თანამდებობას იკავებდა. ეს ის მალაყმაძეა, რომელიც ხელვაჩაურის რაიონის მიწის საკუთრების აღიარებით კომისიის თავმჯდომარე იყო და სწორედ მისი წყალობით ჩამოერთვა ასობით ოჯახს მიწის ნაკვეთები — **ა.კ.**ძ ესენი შემდგომ ყველა დაწინაურდა. საოცარი ის არის, რომ მათი წყალობით ხელვაჩაურში არჩევნები ხელი-

# მთელ ნაცხელისუფლებას ტრაქტორისტი, ეკლესია

**ანუ რატომ არ უნდა უკვირდეთ სააკაშვილსა და**



# მირჩევნია ის აჭარელი რომ არ დაანგრია

## მის გუნდს, რომ ბათუმმა მათ არჩევნებისას უგანა

სუფლებამ პირწმინდად წააგო. ოპოზიციამ იყიდა ხმები. ფული დარიგდა სწორედ პოლიციის განყოფილების გვერდით მდებარე სახლში. ამის მერე დაიწყო გამგებლების შეცვლა. მე უმუშევარი დავრჩი. ლევან ვარშალომიძემ დეპუტატების სიიდან იმიტომ ამომიღო, რომ შიში ჰქონდა, ნინო ბურჯანაძის კაცია და ვიცე-სპიკერი გახდებაო. აჭარაში სამი კაცი წყვეტდა ყველაფერს: ლევან ვარშალომიძის მამა გურამ ვარშალომიძე, ლევანი და მისი ძმა. სააკაშვილის ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ ეს ხალხი რვა წელიწადს მართავდა აჭარას. ეს აჭარლებისათვის სულში ჩაფურთხების ტოლფასი იყო. ჩვენი კუთხის უბედურება ისაა, რომ ასლან აბაშიძის შემდგომ აჭარაში უარესი ხელისუფლება მოვიდა. ამის შესახებ სააკაშვილს ეუბნებოდნენ, მაგრამ მან არავის არ მოუსმინა. მე სააკაშვილის ბოლო დღემდე მჯეროდა, მაგრამ დღეს მისი არაფერი არ მწამს. მან ყველაფერი იცოდა, რაც აქ ხდებოდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. ბევრი რამ, რაც მიწებისა და ქონების გასხვისება-გაყიდვასთანაა დაკავშირებული, რასაც ლევან ვარშალომიძე აწერდა ხელს, ფაქტობრივად პრეზიდენტის სინდისზეა. მათ შორის ერთ ლარად გაყიდულიც. აჭარის მთავრობა ამ საკითხებში ნოტარიუსის ფუნქციას ასრულებდა. მას არ ეყო შინაგანი ძალა, წინ აღდგომოდა მას.

**— ბადრი, თქვენ პრეზიდენტთან ადრე კარგი ურთიერთობა გქონდათ.**

— პრეზიდენტთან არ მქონდა ცუდი ურთიერთობა, თუმცა, არასდროს არ ვცდილობდი, თვალში მოვხვედროდი. მისთვის მე „მაგარი გამგებელი“ ვიყავი. ბოლოს აჭარის სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელად დამნიშნეს. რადგან ხე-ტყე უკანონოდ იჩეხებოდა, მე კი დამნაშავეების წინააღმდეგ მხარდამჭერი არ მყავდა აჭარის მთავრობაში, სამსახური დავტოვე. ეს იყო ბოლო წვეთი სავსე ჭიქაში, ანუ ამან ვარშალომიძე განარისხა — მე როგორ გავბედე და ლევანს ვუთხარი, სატყეო სამმართველოების ყველა დირექტორი დასაჭერია-მეთქი, მტრად მომეკიდა. იმ ხალხს ვისზეც მე ვსაუბრობდი, მალე მოკითხეს, მაგრამ რა, ვინც ვარშალომიძეს სჭირდებოდა, დეპუტატებად გაიყვანეს, ვინც არა, ახლოს არ გაიკარეს.

**— ბატონო ბადრი, თქვენ საუბარისას მითხარით, რომ ოთხი წელიწადი ციხეში იჯექით, რამდენადაც ვიცი, თქვენ ნაცხელისუფლებას არ გაუსამართლებიხართ.**

— მართალია, მე პირდაპირი გაგებით საპყრობილის საკანში არ ვყოფილვარ, თუმცა, სამჯერ დამიბარეს დაკითხვაზე, მაგრამ დაპატიმრებამდე არ მისულა საქმე. როცა ვამბობ, ციხეში ვიყავი-მეთქი, მხედველობაში მაქვს ჩემს ირგვლივ შექმნილი ვითარება.

**— კერძოდ, რა ვითარება იყო ასეთი.**

— როცა ჩემსა და ლევან ვარშალომიძეს შორის ურთიერთობა დაიძაბა, მან შეკრიბა თავისი ნათესავები (ჩვენ მეზობლები ვართ), და გააფრთხილა, ჩემთან არავის არ ჰქონოდა ურთიერთობა. თქვა, მე მისი ოჯახის პირველი მტერი ვარო. ინტრიგების მსხვერპლი რომ გავხდი, ამას გვიან მივხვდი. ერთხელ მიხეილ მახარაძე (აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — **ა.კ.**) მირეკავს, ჩემთან მოდიო. მივედი. მეუბნება, გუშინ პრეზიდენტთან ერთად სუფრაზე ვიყავი, მთელი საღამო შენზე მელაპარაკა, ძალიან მოსწონხარ, მითხრა საბუთები წარმოადგინე, ბადრი სახელმწიფო ორდენით უნდა დავაჯილდოოთო. მე ამან ძალიან შემაშფოთა და ვუთხარი, თავი დაანებეთ ამისთანა ლაპარაკს, ვარშალომიძეებს ნუ გადამკიდებთ-მეთქი. მეორედ დამიძახა, მაშინ უკვე ეკლესიის ამბები იყო აგორებული, ჩემი დაჯილდოება იმის ნიშანი იქნებოდა, რომ მე ამ საქმეში ვერიე. თავი შორს დავიჭირე და ვუთხარი, თუ ეს აუცილებელია, შეხვდი ლევან ვარშალომიძეს და მასთან შეათანხმე-მეთქი. მახარაძე შეხვდა ვარშალომიძეს და ამის შემდეგ მე არც პრეზიდენტს გავხსენებივარ და არც მიხეილ მახარაძეს. ახლა ვხვდები, რომ მაშინ პრეზიდენტმაც გამწირა. ორჯერ გავუგზავნე პრეზიდენტს წერილი,



არც ერთი არ მისვლია. მოვა დრო და ამ წერილს პირველს „საქართველოს რესპუბლიკას“ გადმოვცემ გამოსაქვეყნებლად.

ციხეში ვიყავი-მეთქი, რატომ ვთქვი იცით? ჩემი სახლიდან გამოსვლა ვილაცას აუცილებლად დისკომფორტს შეუქმნიდა, ანდა უბედურებას მოუტანდა. ერთხელ ჩემი ყოფილი თანამშრომელი მოვიდა და შვილის ქორწილში დამპატიჟა. მივედი, ქორწილი დაწყებული არ იყო, ნაცნობებთან ვიდექი და ვსაუბრობდი. ამ დროს გურამ ვარშალომიძე მოვიდა. შევიდა საქორწინო სახლში, შეიქმნა რაღაც ფაციფუცი. მალე ჩემთან ერთი კაცი მოვიდა და მასპინძლის სახელით მომიბოდიშა, ქორწილიდან უნდა წახვიდეო. ყველაფერი გასაგები იყო, წავედი, რა უნდა მექნა, მეგობრის ოჯახს პრობლემებს ხომ ვერ შევუქმნიდი.

**— რესტორანში შესულსაც გითვალთვალებდნენ?**

— ერთხელ რესტორანში შევედი სტუმრებთან ერთად. ნაცნობი კაცი იყო მეპატრონე. მალე იქ ვარშალომიძის დაცვის უფროსი შემოვიდა, ალბათ, იმან თუ გაიტანა ამბავი. მეორე დღეს რესტორნის მეპატრონე გააფრთხილეს, თუ კიდევ მიმიღებდა თავის რესტორანში, პრობლემები შეექმნებოდა. მთხოვა მეტს ნუღარ მესტუმრებიო.

ერთ საინტერესო ფაქტსაც გეტყვით და დღეს დავამთავროთ. საუბარი სხვა დროს განვაგრძოთ. რუსეთმა ომი რომ დაიწყო, ჩემი შვილები მოსკოვში სწავლობდნენ და ბათუმში იყვნენ ჩამოსული. თურქეთში გადავედით და იქიდან გავაგზავნე ისინი მოსკოვში. მე კი ბათუმში დავბრუნდი. მეორე დღეს ომის საწინააღმდეგო მიტინგი გაიმართა. ამ მიტინგს არც ლევან ვარშალომიძე დასწრებია და არც რობერტ ჩხაიძე — ბათუმის მერი. ისინი სად იყვნენ, არ ვიცი, ოღონდ ერთი კი იყო ნათელი, თუ რუსები შემოვიდოდნენ, იტყოდნენ, ჩვენ თქვენი წინააღმდეგი არ ვიყავით, ხომ ხედავთ მიტინგზეც არ ვყოფილვართო. ასეთი ხალხი მართავდა აჭარას.

**— ისევ ფერიის მთაზე დანგრეულ ეკლესიის თემას დავუბრუნდეთ. მაშინ ბათუმის მერი ირაკლი თავართქილაძე იყო. ამ კაცს, სანამ მერი გახდებოდა, ბათუმში თითქმის არავინ არ იცნობდა. იგი გიგი უგულავას თანაკურსელი იყო, როცა საბერძნეთში სასულიერო სასწავლებელში სწავლობდნენ და მისი წყალობით გახდა ბათუმის მერი. ისიც ითქვა, ეკლესიის დანგრევა მის ინტერესებშიც იყოო.**

— ვერ გეტყვით. ამის დამადასტურებელი არავითარი საბუთები არა მაქვს. იქნებ იმიტომ გავრცელდა ასეთი ხმები, რომ იქ ქალაქს უნდა აეშენებინა რაღაც და ბუნებრივია, ქალაქის მერია ზემოდან ზეწოლას განიცდიდა.

**— მაშ ვის ინტერესებში იყო ფერიის მთაზე ეკლესიის დანგრევა?**

— ათასი რამე ითქვა, თუმცა, ერთი ნათელია, ეს იმის ინტერესებში იყო, ვინც ახლა იქ ფუნიკულიორს აშენებს. ჩვენ მაშინაც ვიცოდით, რომ აქ რესტორნები, სასტუმრო, გასართობი ობიექტები უნდა აშენებულიყო, მაგრამ კონკრეტულად ვინ იყო დაინტერესებული ვერ გეტყვით. რას გაიგებ კაცი, ზოგი ობიექტი თურქებზე თუ არაბებზე არის გაფორმებული, მაგრამ მათ უკან ქართველი ჩინოვნიკები დგანან. ნაცხელისუფლების არაერთი წარმომადგენელი ჩამოვიდა ამ პერიოდში აჭარაში, ერთ-ორ წელიწადში მილიონერები გახდნენ და უკან გაბრუნდნენ...

* * *

**„საქართველოს რესპუბლიკა“** შეხვდა ბათუმის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელმსახურს მამა სერგის და კომენტარი თხოვა ბადრი შავლიძის ნაამბობთან დაკავშირებით.

**მამა სერგი:** ტაძრის ხელყოფა ქრისტიანისთვის ყველაზე შეურაცხმყოფელია. ჩვენი წინაპრები ტაძრების გადასარჩენად თავს სწირავდნენ. როგორც ჩანს, სადღაც ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ, ვინც ფერიის მთაზე მშენებარე ტაძარს ვიცავდით, ცოცხალი თავით არ დავანებებდით მის დანგრევას. ალბათ, ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება ძალის გამოყენების შესახებ, რაც ცნობილი გახდა ქართველ მღვდელთმსახურთათვის. ჩვენ მივიღეთ პატრიარქის ლოცვა-კურთხევა, რომ ღამით დაგვეტოვებინა იქაურობა, რათა ექსცესები არ მომხდარიყო.

**— მამა სერგი, თქვენ რას ფიქრობთ, ხელისუფლება ძალას გამოიყენებდა იქ მყოფი მრევლისა და სამღვდელოების წარმომადგენლების წინააღდეგ?**

— არც ეს იყო გამორიცხული, ჩვენც არ დავთმობდით იქაურობას და ვინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები. ღამის ორი თუ სამი საათი იქნებოდა, როცა მრევლთან ერთად იქაურობა დავტოვეთ. არ დაგავიწყდეთ, იმ დღეს ჩოლოქში ჯვარი აიღეს. იმ დღეს ჯვართამაღლება იყო. მე მგონია ეს შემთხვევით არ მომხდარა (ჩოლოქში ჯვარის აღება მაშინ ხელისუფლებამ ასე ახსნა: ეს თურქი მძღოლების მოთხოვნა იყოო, ისინი აცხადებენ, ჯვარის დანახვა ხელს გვიშლის მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაშიო, პირადად მე მაშინ შემეშინდა, თურქ მძღოლებს არ მოეთხოვათ გურიაში ღორების გაწყვეტა, რადგან ეს პატიოსანი ცხოველები მშვიდად სეირნობენ ოზურგეთი-ლანჩხუთის ავტომაგისტრალებზე. — **ა.კ.**).

არ მეგონა, რომ ქართველი კაცი დღეს ტაძარზე ხელს აღმართავდა, დაანგრევდა. როგორც იქნა, გვეშველა, კომუნისტური რეჟიმი დაინგრა, ადამიანების სულიერებას გასაქანი მიეცა და ამ დროს ვიღაც მშენებარე ტაძარს ანგრევს! ერთ საინტერესო ფაქტს გაგიმხელთ, როცა ტაძრის საძირკველი აკურთხა მეუფემ და მშენებლობა დავიწყეთ, რამდენიმე დღეში მოვიდნენ უშიშროების მუშაკები და იქვე რაღაც ანტენები დააყენეს. ამ საქმეში ჩაერია მეუფე და სულ მალე ეს ანტენები მეორე მთაზე გადაიტანეს.

ბევრმა იქნებ არ იცოდეს, რომ ფერიის მთაზე მშენებარე მცირე ეკლესია არ არის ერთადერთი, რაც იქ უნდა აგებულიყო. მთაზე გათვალისწინებულია ბანას მსგავსი ტაძრის აგება. მოგეხსენებათ, ქართულ ხუროთმოძღვრებაში ბანა უნიკალური იყო. იგი დღეს, ფაქტობრივად, დანგრეულია. ჩვენი მიზანი იყო მისი გაცოცხლება. ჩვენ ქალაქის მერი რობერტ ჩხაიძე და ლევან ვარშალომიძე შეგვპირდნენ, რომ იქვე მცხოვრებ რამდენიმე ოჯახს გაიყვანდნენ და ტერიტორიას გადმოგვცემდნენ, როგორც ახლა ვხვდები, მოგვატყუეს. იქვე უნდა აგებულიყო დაღუპულ ქართველ მებრძოლთა მემორიალი.

**— ახლა რა ხდება ფერიის მთაზე?**

— ფუნიკულიორი შენდება, რესტორნები, გასართობი ცენტრი იქნებაო, ამბობენ. სანკტ-პეტერბურგის რომელიღაც ფირმა აშენებს.

**— ვინაა მეპატრონე?**

— მაგას ჩვენ ვინ გვეტყვის. უფალი მოწყალეა და მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება. საქართველო ღვთის ნაკურთხი ქვეყანაა და არავის არ აქვს უფლება, იგი ცოდვის ბუდედ აქციოს. ამას უფალი არ დაუშვებს.

**— მეც მაქვს ერთი შეკითხვა, თუ შეიძლება.**

— ბრძანეთ მამაო.

— იქნებ იცოდეთ, ვინ იყო ის ტრაქტორისტი, რომელიც ფერიის მთაზე აიყვანეს და რომ გაიგო, ეკლესია უნდა დაენგრია, ამაზე უარი თქვა, მიატოვა ტრაქტორი და წავიდა. რამდენადაც ვიცი, ის კაცი მუსლიმანი აჭარელი იყო, მაგრამ ეყო ვაჟკაცობა და ღვთის სახლს ხელი არ ახლო. მე ვეძებ ამ კაცს, მადლობა რომ ვუთხრა და დავლოცო.

**ამირან კილურაძე,**
**„საქართველოს რესპუბლიკის“**
**აჭარა-გურიის საკორესპონდენტო**
**ბიუროს ხელმძღვანელი**

**P. S. — ბარაქა მის ვაჟკაცობას. სამწუხაროდ, არც მე ვიცი მისი ვინაობა. ერთი სათხოვარი მექნება მასთან, ამ წერილს თუ წაიკითხავს, გამომეხმაუროს. მისი ვინაობა უნდა იცოდეს ხალხმა.**

**ახლა კი იმის შესახებ, თუ რა ხდება დღეს ფერიის მთაზე. იქ მშენებარე მცირე ეკლესია დაუმთავრებელია. საცოდავად გამოიყურება ხარაჩოებმოუხსნელი ეკლესია უზარმაზარი მშენებარე ნაგებობის რკინა-ბეტონის ფონზე. უკვე მთავრდება ბათუმის ფუნიკულიორის ზედა სადგურის საყრდენი კონსტრუქციის სამონტაჟო სამუშაოები, მრავალსართულიანი გასართობი ცენტრის უზარმაზარი შენობა. დამონტაჟებულია საბაგირო გზის შუა საყრდენი ნაგებობაც. მიმდინარეობს სამუშაოები ქვედა სადგურის შენობაზე. ეს უზარმაზარი რკინის ნაგებობა ზედ იმ ადგილას შენდება, სადაც ნავსადგურის ბოლოზის ნაპირას 1941-1945 წ.წ.-ების მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალი იყო. საქართველოსა და აჭარაშიც ხელისუფლებას, ბათუმის მერიას ცოდვად ის ეყოფათ, ეს მემორიალი რომ დაანგრიეს. ვითომდა სხვა ადგილას არ შეიძლებოდა ფუნიკულიორის სადგურის აგება. არადა თავად მე ვარ იმის მოწმე, რომ ბათუმიდან უახლოეს მთამდე საბაგირო გზის მშენებლობა კომუნისტების დროს იგეგმებოდა. მაშინ ქვედა სადგური ბარათაშვილის ქუჩის ბოლოს უნდა დაესვათ.**

**ქუთაისის დიდების მემორიალის აფეთქების შემდეგ ნაცხელისუფლებამ ბათუმის მემორიალის ძალისმიერი მეთოდებით აღება ვეღარ გაბედა. სამაგიეროდ, ზუსტად იმ ადგილას წამოიწყო მშენებლობა, სადაც დიდების სვეტი იდგა და ამ გზით გაანადგურა იგი. ახლა მშენებარე რკინის კონსტრუქციები მთლიანად ფარავს ჭავჭავაძის ქუჩიდან ნავსადგურის ულამაზეს ხედს, აწი ვეღარც ნავსადგურში მდგომი უცხოური გემების ეკიპაჟები დატკბებიან დიდი ილიას სახელობის გამზირის სილამაზით. ბათუმელები ამის გამო აუგად მოიხსენებენ არა მარტო სახელისუფლებო სტრუქტურებს, არამედ იმ არქიტექტორსაც, ვინაც ეს ნაგებობა დააპროექტა. ბათუმში თვლიან, რომ ეს იყო შურისძიება იმათზე, ვინც დაღუპულთა მემორიალს იცავდა.**

**ყოველივე ამის შემდეგ რატომ უნდა უკვირდეს მიხეილ სააკაშვილს და მის გუნდს ბათუმმა ზურგი რომ აქცია ნაცმოძრაობას და არჩევნებში არ მისცა ხმა!**

**ბათუმის ფუნიკულიორის ზედა სადგურს აშენებს შპს „კაპიტალი ჯი“, ქვედა სადგურს — „ანაგი“, დამკვეთი გახლავთ შპს „ჰესტოკ ბათუმი“. კონკრეტულად ვინ არის გასართობი ცენტრის ნამდვილი მეპატრონე, ამის დადგენა ვერ მოვახერხეთ. სავარაუდოა, რომ იგი სააკაშვილის ხელისუფლებასთან დაახლოებული პირი იყოს. ჩვეულებრივი მოკვდავი ამას ვერ მოახერხებდა.**

**ცოტაც მოიცადეთ და, არა არის რა დაფარული, რომ არ გაცხადდეს!**

**ა. კ.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ქართული ღვინო და რუსული ემბარგო

ექვსი წლის წინათ რუსეთმა მძიმე დარტყმა მიაყენა საქართველოს ეკონომიკას, როდესაც აკრძალა ღვინის ექსპორტი. მოულოდნელად დაიხურა ბაზარი, რომელიც ქართული ღვინის ექსპორტის 80 პროცენტს ფლობდა. ახლა მიმდინარეობს სერიოზული საუბრები ემბარგოს შესაძლო გაუქმების შესახებ.

არქეოლოგები ამტკიცებენ, რომ მეღვინეობის ყველაზე ძველი ცნობები აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს მთებში. რვა ათასი წლის წინათ ღვინოს „ამწიფებდნენ“ ქვევრებში – უზარმაზარ თიხის ჭურჭელში, რომელსაც წასმული ჰქონდა ფუტკრის ცვილი და ჩაფლული იყო მიწაში.

ამერიკელ ჯონ ურდემანს საქართველოში აქვს




მეღვინეობის საწარმო „ხოხბის ცრემლები“ და თავის ღვინოებს იგი უძველესი რეცეპტებით ამზადებს.

„ჩვენ ჯერ კიდევ მეორე რენესანსის დასაწყისში ვართ. ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი და საქმის უდიდესი ნაწილი – ეს სწავლაა“.

ურდემანი რეკლამას უკეთებს თავის ღვინის წარმოებას, აწყობს ტურისტულ ექსკურსიებს ღვინის დეგუსტაციით. იმის სურვილი, რომ აალორძინოს ძველი ქართული მიწა, ჯონ ურდემანმა აქ დარგო და გამოზარდა ყურძნის 340 სხვადასხვა ჯიში. ქართული ღვინის ხარისხი იზიდავს მყიდველებს ამერიკაშიც და ევროპაშიც, მათ შორის, ლიზა კოსტასაც, რომელსაც კალიფორნიის შტატში სან-ფრანცისკოს მახლობლად აქვს ღვინის მაღაზია და ბარი.

„ეს ღვინო უნიკალური ხასიათისაა. ისეთი ადამიანები, როგორიცაა ჯორ ურდემანი, ინახავენ ტრადიციებს და სიცოცხლეს უნარჩუნებენ ყურძნის უძველეს სახეობებს და მეღვინეობის ძველ ხერხს. ღვინო, რომელსაც იგი ამზადებს, თავად მეტყველებს თავის შესახებ“, – ამბობს კოსტა.

ქართული ღვინო საექსპორტოდ მსოფლიოს 50 ქვეყანაში გადის. ამისი ბიძგი მოულოდნელად იქცა მოსკოვის 2006 წლის გადაწყვეტილება, როდესაც მან აკრძალა ქვეყანაში ღვინის შემოტანა საქართველოდან. და მართალია, ამჟამად საქართველო მხოლოდ ერთი მესამედის ექსპორტს ახორციელებს იმისა, რასაც იგი რუსეთს აწვდიდა ექვსი წლის წინათ, ქვეყნის შემოსავალი ღვინის ექსპორტისგან არ შემცირებულა.

მალე საქართველოს ეყოლება ახალი პრემიერ-მინისტრი – ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც ქვეყანაში ბევრი მოსკოვთან დაახლოებულ კაცად მიიჩნევს. ახლა რუსეთში ღვინის იმპორტიორებს იმედი აქვთ, რომ ემბარგო მოიხსნება. ბევრი მათგანი უკვე ურეკავს ურდემანს წინადადებებით.

„რუსეთის ბაზრის გახსნის საფრთხე არის ის, რომ ეს არის მოწვევა იმ ხალხისგან, ვისაც ძალიან ბევრი ღვინო უნდა, მიუხედავად იმისა, თუ რა ხარისხისაა იგი“, – ამბობს ურდემანი.

ის აღნიშნავს, რომ ღვინო იყო ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილი ათასეული წლის განმავლობაში, მაშინ, როდესაც რუსეთი მხოლოდ ახლა იწყებს უარის თქმას ღვინოსა და არაყზე.

საფრანგეთში ქართული ღვინის ბუტიკის დირექტორი ჟაკ ფლერი მიიჩნევს, რომ რუსულმა ემბარგომ აიძულა საქართველო მნიშვნელოვნად გაეუმჯობესებინა ღვინოების ხარისხი: „ემბარგომ დაუბრუნა ქართული ღვინოინდუსტრია ხარისხის უმაღლეს დონეს, ვინაიდან საქართველოს მოუწია, გაეფართოებინა ექსპორტი დასავლეთში, სადაც ხარისხი მთავარი მოთხოვნაა“.

ოფიციალური მიზეზი, რის გამოც რუსეთმა აკრძალა ღვინის იმპორტი საქართველოდან, იყო ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებისადმი მისი შეუსაბამობა. ფლერი ამბობს, რომ რუს ღვინის მოყვარულებს სხვა აზრი აქვთ: „მე ვიცი, რომ ხალხი ბორნებით მოდის პეტერბურგიდან ესტონეთში, რათა ქართული ღვინოები შეიძინოს. მათ ჩამოაქვთ ღვინის მთელი ყუთები. მიმაჩნია, რომ რუსეთში ძალიან დიდია ინტერესი ჩვენი ღვინისადმი“.

საბოლოო გადაწყვეტილება ქართული ღვინის მავნეობის შესახებ რუსეთის ხელისუფლების სინდისზეა, საქართველოში კი ათასობით წელია, იციან, ერთი ფუჟერი ღვინო, რომელიც მოწეულია ძველ მიწაზე, მეტად სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის.

VOA NEWS.com Голос Америки

# კიდევ ერთი რევოლუცია საქართველოში

ოპოზიციური კოალიციის „ქართული ოცნების“ გამარჯვებამ ბევრი გააოცა დასავლეთში, წერს ბუნდესტაგის დეპუტატი და ექსპერტი კავკასიის საკითხებში ვიოლა ფონ კრამონი.

არც ჰილარი კლინტონი, არც გიდო ვესტერველე არ შეხვედრიან ივანიშვილს, ამიტომ მმართველი პრეზიდენტისთვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, ადვილად გაევრცელებინა ხმები მის შესახებ, უწინარეს ყოვლისა, იმის შესახებ, რომ ივანიშვილი – რუსი მილარდერია და აპირებს გადასცეს რუსეთს სუვერენიტეტი საქართველოზე, ხმების შესყიდვის წყალობით. „ზოგჯერ დასავლეთში აბსოლუტურად მოუფიქრებლად ავრცელებდნენ ამ გადაჭარბებულ კარიკატურებს“, – წერს ფონ კრამონი. მაგრამ პირველ დანიშვნებს ივანიშვილის მთავრობაში იგი განიხილავს როგორც პოზიტიურ სიგნალს. მისი სიტყვებით, იგი არ აკეთებს დათმობებს ეროვნულ-კონსერვატიული ძალებისთვის, რომლებიც მოხვდნენ მის სიაში საარჩევნო კამპანიის დროს. ფონ კრამონი ასევე დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ მომავალი მთავრობა დაეფუძნება სამპარტიულ კოალიციას: „ქართული ოცნების“ გარდა, მასში იქნებიან ირაკლი ალასანიას „თავისუფალი დემოკრატები“ და დავით უსუფაშვილის „რესპუბლიკელები“.

ფონ კრამონი აღნიშნავს, რომ ივანიშვილი აპირებს, კვლავ დაიცვას ძველი მიზნები ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით. მაგრამ „განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ახალი იმპულსები რუსეთთან და გამოყოფილ ოლქებთან – აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით. ქართველების უმრავლესობამ გაიგო, რომ ჩრდილოეთ მეზობელთან უნდა ეძებონ დაახლოების გზები და რომ სააკაშვილის დროს ამის მიღწევა შეუძლებელი იყო“. ამ თვალსაზრისით ექსპერტს მნიშვნელოვან სიგნალად მიაჩნია პაატა ზაქარეიშვილის დანიშვნა სეპარატისტული ოლქების მინისტრის თანამდებობაზე. „იგი, როგორც სხვა არავინ, 1990-იანი წლების კონფლიქტების დასაწყისიდან ისწრაფვის შერიგებისკენ და სარგებლობს ნდობით ორივე მხრიდან“, – აღნიშნავს ავტორი.

ავტორის სიტყვებით, ხელისუფლების გადაცემა, რაც განხორციელდა არჩევნების შედეგების გამოქვეყნებისთანავე, არის „რევოლუცია საქართველოს პოლიტიკურ კულტურაში“ და ახალი მოვლენა მთელი სამხრეთი კავკასიისთვის. მომავალი საპარლამენტო ფრაქციების წარმომადგენელთა საერთო თათბირი მომავალ მოქმედებათა შესახებ და პირდაპირი საუბარი სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის, ავტორის აზრით, მიუთითებს იმაზე, რომ მეტოქეებს აქვთ სათანადო უნარი კომპრომისისთვის.

მიუხედავად ამისა, ფონ კრამონის სიტყვებით, კვლავ ღიად რჩება საკითხი, შეძლებს თუ არა სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დაამუშაოს კონსტრუქციული ოპოზიციური პოლიტიკა. ამას გარდა, წერს ქალბატონი, ივანიშვილის პარტიამ უნდა დაადასტუროს, რომ არ აქვს განზრახული პოლიტიკური შურისძიება. ამგვარი საფრთხე არსებობდა, წერს ავტორი, იყო მოთხოვნაც სააკაშვილის ვადამდელი წასვლის შესახებ, მაგრამ მსოფლიო საზოგადოებრიობის ნეგატიურმა რეაქციამ აიძულა, ივანიშვილი გაეკეთებინა უკუსვლა.

ექსპერტი ასევე აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერდა სააკაშვილს გეოსტრატეგიული მოტივებით, ძირითადად არ ითხოვდა ადამიანის უფლებების და დემოკრატიული სტანდარტების დაცვას. ამიტომ, ავტორის აზრით, ევროპამ საქართველოსთან დამოკიდებულებაში უნდა იქონიოს უფრო დამოუკიდებელი პოლიტიკა და მხარი დაუჭიროს „სამართლებრივი სისტემის რეფორმებს, რუსეთთან ურთიერთობათა გათანაბრებას და სარწმუნო სქემებს, მათ შორის, სეპარატისტულ ოლქებთან დაკავშირებითაც აღმოსავლურ პარტნიორობაში“.

Neue Zürcher Zeitung

## დედამიწის ზურგზე




### არმაგედონის ვირუსი: სასიკვდილო ეპიდემიას შეუძლია გათიბოს მთელი კაცობრიობა უახლოეს ხუთ წელიწადში

ცნობებმა ზოონოზების – ცხოველთა სახიფათო გადამდები დაავადების შესახებ, რომლებიც გადაედება ადამიანებსაც, გააოგნა მედიცინის ექსპერტები. ისინი არ გამორიცხავენ, რომ უკვე უახლოეს წლებში კაცობრიობას ელოდება დიდი ეპიდემია, როგორიც იყო, მაგალითად, „ისპანკა“, რომელმაც 1918-დან 1919 წლამდე მთელ მსოფლიოში 50-დან 100 მილიონამდე კაცის სიცოცხლე შეიწირა.

### ნორვეგიელი ექსტრემალი 1200 მეტრის სიმაღლეზე ღერძიდან ჩამოვარდნის შემდეგ გადარჩა




ექსტრემალური სპორტის შესახებ დოკუმენტური ფილმის გადაღების დროს ბეისტჯამპერ რიკარდ ჰენრიკსონს ღერძზე უნდა შეესრულებინა აკრობატული ელემენტი. ღერძი უფსკრულის პირას იყო დაყენებული და შემდეგ უნდა გადამხტარიყო უფსკრულში. მაგრამ ყველაფერი ასე არ გამოვიდა: ცუდად დამაგრებული იარაღი მოწყდა ადგილს და სპორტსმენთან ერთად უფსკრულისკენ გადაეშვა.

### „ოკაპი ლონდონის“ აქტივისტმა ქალებმა თავი ჯაჭვით დაიბეს ტაძარში „პუსი რაიოტის“ აქტივისტების სოლიდარობის ნიშნად




ღირსი დევიდ ისონი ასრულებდა საღამოს ლოცვას, როდესაც გოგონები თეთრ ტანსაცმელში, ხმამაღალი ყვირილით მიებნენ კათედრის მოაჯირს. თავიანთი სოლიდარობის შესახებ რუსი პანკ ჯგუფის დაპატიმრებული მონაწილეებისადმი მოძრაობის წევრებმა დაწერეს „ტვიტერში“. ამას გარდა, აქცია მიმართული იყო ეკლესიის ხელისუფლების წინააღმდეგაც, რომლებიც თანამშრომლობდნენ დიდ ბანკებთან.

### კამბოჯის ყოფილი მეფე ჩინეთში გარდაიცვალა



89 წლის ნოროდომ სიანუკის გარდაცვალების მიზეზი გულის შეტევა იყო. ექსმონარქი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი სიცოცხლისუნარიანობით. ის იყო რეჟისორიც, მუსიკოსიც, ფეხბურთელიც, 82 წლის ასაკში მან თავისი ბლოგიც კი შექმნა ინტერნეტში, სადაც თანამემამულეებს უზიარებდა თავის ოპტიმიზმს, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ იგი უკვე კიბოთი იყო დაავადებული.

შაბათ-კვირის ჩანაწერები

## აი, მხარდამჭერი!

**ეს კაცი გულმხურვალედ უჭერდა მხარს „ქართულ ოცნებას", რომ იტყვიან, აღმერთებდა ბიძინა ივანიშვილს, ქვეყანას მოუწოდებდა, ე, ბიჭო, ხმა მივცეთ „ოცნებას", ახლა მაინც არ შევცდეთ, „ნაციონალებისკენ" ხელი არ წაგიცდეთო... ცხადია, ისიც გახარებული იყო არჩევნებში „ოცნების" გამარჯვების გამო, მგონი, გვეშველა, ცოტა მოვითმინოთ და ყველაფერი კარგად იქნებაო!..**

ჰოდა, აი, საოცრება: მოდის ეს კაცი გუშინწინ, მესალმება, ხელს ძლივს მართმევს და უგემური ხმით მიზიარებს ტელევიზორში გაგონილს: „ესენი, მგონი, „ნაციონალებზე" უარესები იქნებიან, გამოდის წუხელ მომავალი ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი და ამბობს, პენსია 160 ლარი იქნებაო! გესმის, კაცო?! აშენებას გვპირდებოდნენ და, 160 ლარიო!.. 140 მიშამაც ძე დაგვინიშნა!..

— 15 გამოაკლო!..

— კი ბატონო, პოლისში გამოქვითა, მერე რა, ჯანმრთელობის პოლისი საქმე არ არის?!

— მოიცა, მოიცა!.. ჯერ ერთი, 160 იქნება თუ 200, არავინ იცის, კაბინეტებშიც არ შესულა ჯერ ეს ხალხი... თანდათან რომ მოიმატებს, ეჭვი გეპარება?!.

— არ ვიცი, არ ვიცი!.. მგონი, სულ ტყუილა მქონდა ამათი იმედი!..

— ეეეე... მაგარი მხარდამჭერი ყოფილხარ შენ, გოგია!

## რა ვუშველოთ მათხოვრებს?!

**„ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლით იმის იმედიც გაჩნდა, იქნებ, თბილისსა თუ ქვეყნის სხვა დიდი ქალაქების ხალხმრავალ ქუჩებში მოკალათებულ უამრავ მათხოვარსაც ეშველოს. სულისშემძვრელია ამ ადამიანების ყოველდღიური ყოფა, ზოგს უკვე კარგა ხანია, „საკუთარი" ადგილი აქვს გამოძებნილი მიწისქვეშა გადასასვლელებში, პროსპექტებზე და მოედნებზე აუტანელი გახდა გაურკვეველი წარმომავლობის (ამბობენ, ბოშები არ არიანო) ახალგაზრდა ქალებისა და გოგო-ბიჭების მოურიდებელი ქცევა გამვლელ-გამომვლელის მიმართ, ხან ფულის თხოვნა, ხან მკითხაობის დაძალება...** ერთმა ჩემმა მეგობარმა, კარგა ხნის წინათ, მითხრა, რას არიგებ, თუ ძმა ხარ, ამ ხურდა ფულს, მაგენი, მავანს და მავანს, ყოველ დილით ავტობუსით ჩამოჰყავს სვანეთის უბნიდან, ფანტავს ქალაქში და საღამოთი „ანგარიშს" იბარებს, ხომ ხედავ, პირდაპირ სალონში რომ უხტებიან მძღოლებს შუქნიშანთანო... მოკლედ, ჩვენდა საუბედუროდ, დღესდღეობით თბილისში, ორი „სახეობაა" მათხოვრებისა „ მორიდებულნი" და „მოძალადენი" და ახალმა ხელისუფლებამ რაღაც საშველი უნდა გამოძებნოს მათ მიმართ, რომ პირნათელი ვიყოთ ღმერთთანაც და კაცთანაც. თუმცა, ესეც არის, მათხოვრობა ზოგს უკვე ჩვეულებად ექცა და მთავრობა თან რომ გადაჰყვეს, ველარ მოაშლევინებს.

## მეხოტბე ქურთულ-ქართული ძმობისა

**ნეტა იმ დროს, დედაუნივერსიტეტის ბაღში, სხვებთან ერთად, მე და ქარიმიც რომ ვისმენდით შოთა ჩანტლაძის ლექციებს.** ქურთი **ქარიმ ანყოსი (ამოევი)** აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლობდა, ვერის უბანში დაბადებულს თბილისის 54-ე ქართული საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაემთავრებინა და ახლა ირანულ ფილოლოგიას ეწაფებოდა. ქარიმი ჩვენი სამეგობროს ღირსეული საყვარელი წევრი იყო, შესანიშნავ ლექსებს წერდა ქართულად და ამ ლექსებშიც ზედმიწევნით ჩანდა მისი დიდი სიყვარულის გრძნობა საქართველოსადმი, ქართველი ხალხისადმი...




ქარიმ ანყოსი — დღეს უკვე ცნობილი ქურთი პოეტი, მეცნიერი, ქურთოლოგი, საქართველოს ქურთი მოსახლეობის ცნობილი საზოგადო მოღვაწეა. ის არის საქართველოში პირველი ქურთულენოვანი გაზეთის „გლავეჟის" („ცისკრის ვარსკვლავი") გამომცემელ-რედაქტორი, საქართველოს საზოგადოებრივი რადიოს ქურთულ ენაზე გადაცემათა რედაქციის ორგანიზატორი და მთავარი რედაქტორი, „ვეფხისტყაოსნის" ქურთულ ენაზე გამოცემის ინიციატორი და რედაქტორი, წინასიტყვაობისა და კომენტარების ავტორი და ასე შემდეგ... მისი ლექსები მშობლიურ ქურთულ ენაზე და თარგმანები გამოცემულია ცალკე წიგნებად.

და აი, ჩვენს ქარიმს ქართულადაც გამოუცია ლექსი და პროზა ერთ წიგნად: **„ძმაო, ქართველო".**

მასში შეტანილი ახალგაზრდობისდროინდელი ლექსები ეძღვნება საქართველოს, თბილისს, წაიკითხავთ შესანიშნავ ლირიკულ სტრიქონებსაც, გაეცნობით საყმაწვილო ლექსებსაც, ერთ-ორ პროზაულ ნაწარმოებსაც და სტუდენტური წლების გახსენებასაც აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძის წიგნის მოხმობით. ერთი სიტყვით, ეს ნიჭიერი კაცი ჩვენი ნაღდი, გულიანი ძმაა, ვერის უბანი რომ ესიზმრება და უქართველებოდ სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია. აი, ნახეთ:

**დასაბამიდან ასე მოსდევდა —**
**ძმა ეძიებდა ძმას სასახელოს,**
**გულს აღარ შერჩა წუხილი, სევდა,**
**როცა შენ გპოვე, ძმაო ქართველო!**
**დედაო მიწავ, ქართულო მიწავ —**
**ასე უბრალოდ, წმინდად სათქმელო,**
**შენს ნათელ მანდილს შვილივით ვიცავ,**
**შენ კი მე მიცავ, ძმაო ქართველო!**

ხედავთ?!. გაგიმარჯოს, ძმაო, ქარიმ! შენს სულდიდობასა და გულითადობას ვლოცავ!

**ვილენ მარდალეიშვილი**

ნობელიანტები — 2012

# მოლეკულური ანსამბლები — ბუნების შედევრებივით

**ამერიკელ სწავლულებს რობერტ ლეფკოვიცსა და ბრაიან კობილკას უმაღლესი ჯილდო ხვდათ G-ცილებთან ადრენალინის რეცეპტორთა ურთიერთქმედების მექანიზმების ღრმად ჩაწვდომისათვის. მეორენაირი მოტივირებაა „გტფ-აზებთან შეუღლებული რეცეპტორების გამოკვლევისათვის" (გტფ გუანოზინტრიფოსფატის შემოკლებაა).**



**გტფ**აზებთან შეუღლებული რეცეპტორები ან, როგორც მათ კიდევ უწოდებენ, G-ცილები, რეცეპტორთა ერთობ მნიშვნელოვან ტიპს წარმოადგენენ, განსაკუთრებით მრავალუჯრედული ორგანიზმებისათვის და უჯრედებს შორის სიგნალების გადაცემაში მონაწილეობენ. იმათი აქტივაცია უშვებს შიდაუჯრედულ სიგნალს, რომელსაც სპეციფიკური გენების მუშაობის ცვლილებამდე მივყავართ. ასეთ ტიპს განეკუთვნებიან, მაგალითად, ადრენალინის რეცეპტორები, შემადგენელნი ყველა იმ რეცეპტორის დაახლოებით 40 პროცენტისა, რომლებზეც თანამედროვე წამლები მოქმედებენ.

ბიოქიმიკოსი რობერტ ლეფკოვიცი 1943 წელს დაიბადა ნიუ-იორკში. 1966-ში კოლუმბიის უნივერსიტეტში მოიპოვა მედიცინის დოქტორის ხარისხი; შემდეგ მუშაობდა ჰოვარდ ჰიუზის სამედიცინო ცენტრში და დიუკის უნივერსიტეტში (ჩრდილოეთ კაროლინა). 1968 წელს მეცნიერმა კოლეგებთან ერთად ბიოქიმიური მეთოდებით შეძლო B-ადრენერგული რეცეპტორის აღმოჩენა.

მინესოტაშია დაბადებული მეორე ბიოქიმიკოსი ბრაიან კობილკა (1955 წ.). მან იელის სამედიცინო სკოლა დაასრულა, ამჟამად კი სტენფორდში მუშაობს; წარმატებით გააგრძელა ლეფკოვიცის კვლევა და პირველმა მოახდინა ადამიანის B-ადრენერგული რეცეპტორის გენის კლონირება. იმისი მიმდევრების შედარებითმა ანალიზმა რეცეპტორთა მთელი კლასის აღმოჩენა მოიყოლა, შემდგომ G-ცილებთან დაკავშირებულ რეცეპტორებად წოდებულისა...

ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მთლიანი სისტემა, რომლის ფუნქციონირება იმისი ორგანიზების ყველა დონეზე რეგულირდება — ქსოვილურზე, უჯრედულზე, მოლეკულურზე. „გემის ყველა სისტემის" შეწყობილ მუშაობას ათასობით სულ სხვადასხვაგვარი მოლეკულა უზრუნველყოფს, რომელთა შორის არცთუ ბოლო ადგილი უჭირავთ ცილური ბუნების რეგულატორებს. მათ შეუძლიათ „ტრანსპორტირება" შორ მანძილებზე (მაგალითად, ჰორმონებს — ინსულინი, სომატროპინი, პროლაქტინი), ასევე შეუძლიათ „თავიანთი მოღვაწეობის" განხორციელება უშუალოდ უჯრედის შიგნით.

როგორ რეგულირდება ერთი-ერთადერთი უჯრედის „შინა" სიცოცხლე? ასე 20 წლის წინათ მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ ცილების — ტრიგერების წარმატებული მუშაობისათვის აუცილებელია ჩვენი „ნაცნობი" **გტფ** (გუანოზინტრიფოსფატი). ეგ ცილები — ტრიგერები შეიცავენ ბიოქიმიურ პროცესთა მთელ კასკადს, რომლის შედეგია უჯრედის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე სიგნალის გადაცემა (მაგალითად, ჟანგბადში, გლუკოზაში, რაღაც მნიშვნელოვან მეტაბოლიტებში). ეგ G-ცილებად სახელდებულნი ახდენენ **გტფ**-ის ჰიდროლიზებას იმისი მოლეკულიდან ფოსფატის სამი „პაწაწა აგურისგან" ერთ-ერთის ახლეჩით, რომლის დროსაც გამოიყოფა შემდგომი ბიოქიმიური რეაქციების მიმდინარეობის უზრუნველმყოფი ენერგია. სწორედ G-ცილათა აღმოჩენისათვის მიიღეს 1994-ში ამერიკელმა ბიოქიმიკოს-ენდოკრინოლოგებმა ალფრედ გილმანმა და მარტინ როდბელმა ნობელის პრემია ფიზიოლოგიასა და მედიცინაში. 2012 წლის პრემია ქიმიაში G-ცილების ისტორიის ლოგიკური გაგრძელებაა: ლეფკოვიცმა და კობილკამ პირველგამკვლევთა კვალდაკვალ წაიწიეს წინ თავიანთ ძიებებში და შეძლეს არა მარტო G-ცილათა მუშაობის მარეგულირებელი უჯრედული რეცეპტორების „საქმიანობის" დახასიათება, არამედ „გასაღების მორგებაც" მათ სამართავად.

G-ცილებთან შეუღლებული რეცეპტორები ძალიან ლამაზნი არიან, თუკი უჯრედის არქიტექტურულ მოლეკულურ ანსამბლებს განვიხილავთ, როგორც ბუნების შედევრებს. ისინი სპირალურად არიან ჩალაგებულნი უჯრედის მემბრანაში ნაძვის ხის სერპანტინის დარად და 7-ჯერ „სერავენ" მას. სერპანტინთა შორისაა სინათლის რეცეპტორი როდოპსინი, თვალის ბადურას უჯრედთა მემბრანებში განლაგებული; ყნოსვითი რეცეპტორების უჯრედთა ცილები — ამ რეცეპტორების დახმარებით ამოიცნობს არომატებს ჩვენი ცხვირი; და ის უჯრედული რეცეპტორებიც, რომელთა მეშვეობით ხორციელდება იმუნური სისტემის განწყობილების, ქცევის, აქტიურობის რეგულაცია; თანაც ყველა მათ აქვთ მსგავსი აგებულება.

G-ცილათა ისტორია არ დამთავრებულა, ახალ აღმოჩენებს „მალავს". იმისათვის, რომ შედგეს ეს აღმოჩენები, წინამორბედები გზას უკაფავენ მომდევნო მკვლევრებს.

**ნათია თამარაშვილი,**
**თამაზ ებანოიძე**

ინფორმაცია

### მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეები ძიებაში დაბრუნდება

**მთავარი პროკურორობის კანდიდატი იმ საქმეების ძიებაში დაბრუნებას გეგმავს, რომელიც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით სარგებლობს. როგორც არჩილ კბილაშვილმა დღევანდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, დაუსრულებელია და კითხვებია დარჩენილი ზურაბ ჟვანიას, სანდრო გირგვლიანისა და ამირან რობაქიძის გარდაცვალების საკითხებთან დაკავშირებით.**

**გარდა ამისა, არჩილ კბილაშვილი გურამ შარაძის მკვლელობის საქმის ძიებაში დაბრუნებასაც არ გამორიცხავს. მისი განმარტებით, საზოგადოებას ამ საქმეებთან დაკავშირებით ბევრი კითხვა აქვს.**

**„გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლო პირდაპირ ავალებს ხელისუფლებას სანდრო გირგვლიანის საქმის ხელახალ გამოძიებას. რაც შეეხება რობაქიძის საქმეს, საინტერესოა, რატომ გავრცელდა ინფორმაცია, რომ იყო ყაჩაღური თავდასხმა, როდესაც სინამდვილეში ამგვარი რამ არ მომხდარა, ასევე რატომ დაიდო ამ ბავშვთან ავტომატური იარაღი, როდესაც მას ამგვარ იარაღთან შეხება არ ჰქონდა.**

**რაც შეეხება ზურაბ ჟვანიას საქმეს, ვიცი ოჯახის აზრი, რომ ისინი არ იზიარებენ ვერსიას ყოფილი პრემიერ-მინისტრის გაზით მოწამვლის თაობაზე. ეს კითხვები გონივრულია და მათ პასუხი აუცილებლად უნდა გაეცეს, — აღნიშნა არჩილ კბილაშვილმა.**

**მისივე ინფორმაციით, ამ საქმეების გამოძიება აუცილებელია, რათა საზოგადოებაში უკმარისობის გრძნობა აღმოიფხვრას და ყველა კითხვას პასუხი გაეცეს.**

### ტელემაუწყებლებს ვადაგადაცილებული დავალიანება და სანქციები შეუმცირდებათ

**საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ქვეყანაში მოქმედ ყველა ტელემაუწყებელს, შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე, ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება და მათზე დარიცხული სანქციები შეუმცირდება. აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით ფინანსთა მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა გუშინ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.**

**— ამ გზით, როგორც ცენტრალური, ისე რეგიონული ტელეკომპანიებისთვის ფინანსური ვალდებულებების შემსუბუქება და მათი თანაბარ საგადასახადო პირობებში ჩაყენება ხელს შეუწყობს მაუწყებლების სტაბილური ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფას, სატელევიზიო ბაზრის განვითარებას და კონკურენციის გაზრდას. მაუწყებლებს მიეცემათ საშუალება, მოიზიდონ ახალი ინვესტიციები ამ სფეროში, — განაცხადა ალექსანდრე ხეთაგურმა.**

ინტერპრესი

◉ წინ, საქართველო!

# ქართული საქმე... ბრაზილიურად



**საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი თბილისის „იბერია სტარი“ ევროპის ერთადერთი კლუბია, რომელსაც უეფას ფუტსალის თასის ყველა გათამაშებაში აქვს მონაწილეობა მიღებული. მეტიც — ორჯერ ბიზნესმენ ავთანდილ წერეთლის ნაამაგარი ბიჭები ძალიან ახლოს იყვნენ ოთხთა ფინალის საგზურის მოპოვებასთან, მაგრამ ოცნება აუხდენელი რჩებოდათ.**

და აი, მე-12 ცდა წარმატებით დაგვირგვინდა, რაც ბრაზილიელი მწვრთნელის სერჟიო ზენატისა და მის თანამემამულეთა — გუნდის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობის დამსახურებაა.

თბილისში გამართული ელიტრაუნდის ბოლო მატჩის წინ ისეთი სატურნირო მდგომარეობა შეიქმნა, რომ მრისხანე მეტოქესთან — მინიტურნირის რეიტინგფავორიტ ლისაბონის „ბენფიკასთან“ ყოფნა-არყოფნის შეხვედრაში მასპინძლებს მხოლოდ გამარჯვება აწყობდათ მიზნის მისაღწევად.



მართალია, სტუმართა სასტარტო ხუთეულის სამი წევრი ტრავმის გამო ვერ ეხმარებოდა პარტნიორებს, მაგრამ ასეთ სოლიდურ დანაკლისს არ უმოქმედია პორტუგალიელთა ბრძოლისუნარიანობაზე. მით უფრო დასაფასებელია გაქართველებულ ბრაზილიელთა ტრიუმფი.

**„იბერია სტარი“ — „ბენფიკა“ 7:4 (4:2).**

**გოლები:** აუგუსტო (2), რაფაელი (2), რომარიო, ლუსიო, რონინიო; მარინიო (3), ნენე.

„დიორ ეტო“ — „ლუპარენსე“ 3:2.

**საბოლოო მდგომარეობა:** „იბერია სტარი“ — 7, „დიორ ეტო“ — 5, „ბენფიკა“ — 4, „ლუპარენსე“ — 0 ქულა.

დავძენთ, რომ დანარჩენ ჯგუფებში „ბარსელონამ“, მოსკოვის „დინამომ“ და „კაირატმა“ იძალეს, ოთხთა ფინალის მასპინძლის ვინაობა კი მოგვიანებით გაირკვევა.

**გიორგი შოთაძე**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

◉ ფეხბურთი

# მოწამლული თაობა

**მკითხველს შეიძლება ამ წერილის სათაური მეტისმეტად მკვეთრი ეჩვენოს, მაგრამ მიმხვედრი მიხვდება: ვიდრე საქართველოს ეროვნული ნაკრები სტილშეცვლილი ითამაშებს, ხარკს ფრთხილ, უფრო სწორად, ანტიფეხბურთს გადაუხდის და მინდორზე ერთადერთი, ისიც მეტოქის კარისგან ზურგშექცევით მდგარი თავდამსხმელით გამოვა, ლოკალური წარმატებების მიუხედავად, რეგულარულად გააწბილებს გულშემატკივრებს.**

თუ ვინმე გვეტყვის, რომ ესპანეთთან ღია მანერით ბურთაობის შემთხვევაში ფიასკო არ აგვცდებოდაო, საინტერესოა, ფინეთთან და მისნაირებთან „მეორე ნომრით“ ბლარძუნს რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს?

შეგახსენებთ, რომ ჩრდილოელებმა თითქმის მთელი მეორე ტაიმი რიცხობრივ უმცირესობაში გაატარეს, ასე რომ, არგუმენტს, თითქოს მკაცრმა კლიმატურმა პირობებმა დამატებითი პრობლემები შეგვიქმნაო, ამჯერად ვერ გავიზიარებთ.

**ფინეთი — საქართველო 1:1 (0:0)**

**გოლები: კაშია (56-ე წთ), ჰიამალაინენი (63-ე წთ).**

**ბელარუსი — ესპანეთი 0:4. გოლები: ალბა, პედრო (3).**

**ისვენებდა საფრანგეთი.**

**„მუნდიალ — 2012“-ის შესარჩევი ეტაპის ევროპის „ზ“ ჯგუფის სატურნირო ცხრილი:** ესპანეთი, საფრანგეთი — 6-6, საქართველო — 4, ფინეთი — 1, ბელარუსი — 0 ქულა.

**დღეს ითამაშებენ:** ბელარუსი — საქართველო (პირდაპირი ტელერეპორტაჟი I არხზე 20 საათზე დაიწყება), ესპანეთი — საფრანგეთი. ისვენებს ფინეთი.

**გია პლატონიშვილი**

◉ სამბო

# ისევ უხვი ნადავლით



**ახალგაზრდა ქართველი სამბისტები ნებისმიერი შეჯიბრებიდან უხვად მკერდდამშვენებული ბრუნდებიან. ტრადიციას არც ამჯერად უღალატეს და ბულგარეთის დედაქალაქ სოფიიდან, სადაც ჭაბუკ და ახალგაზრდა ჩოხოსანთა მსოფლიო პირველობა გაიმართა, 13 მედალი ჩამოიტანეს — 2 ოქროს, 4 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოსი.**

ჭაბუკებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ომარ ნიაზაშვილი (70 კგ), რომელმაც ფინალში ყირგიზი ჯამალბეკ ასილბეკი დაამარცხა. მსგავსი წარმატების მიღწევა შეეძლო ილია ოტიაშვილსაც (87კ), მაგრამ მან გადამწყვეტი პაექრობა ყაზახ ნიკიტა აზაროვთან დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ასევე ფინალი წააგო ლევან კირკიტაშვილმა (65 კგ) — ჩვენებურს რუსეთელმა რამაზან კოძოკოვმა აჯობა. მესამე ადგილებზე ირაკლი კუპატაძე (48კ), გიორგი ნათათრალიშვილი (56კ), უშანგი მარგიანი (75კ) და გიორგი ლაზუაშვილი (+87კ) გავიდნენ.

ახალგაზრდებში სხვებზე უკეთ იჭიდავა ამირან იანვარაშვილმა (82კ), რომელმაც ყველა მეტოქე დაჯაბნა, მათ შორის ფინალში გიორგი კორელი (რუსეთი) და ოქროს მედალი დაიმსახურა. ფინალური ორთაბრძოლები დათმეს და მეორე ადგილებს დაჯერდნენ ირაკლი ლომიძე (68კ) და უშანგი კოკაური (100კ). ქართველმა ფალავნებმა ჩემპიონობისთვის ორთაბრძოლები ილია ილიასოვთან (რუსეთი) და დანიელ ნეტიასთან (რუმინეთი) დათმეს. მესამე ადგილები გივი ნადარეიშვილს (52კ), მიხეილ ჩოჩელსა (74კ) და თეიმურაზ ხაჩიძეს (90კ) ერგოთ.

გუნდურ ჩათვლაში ჭაბუკებმა მეორე, ახალგაზრდებმა კი მესამე ადგილები დაიკავეს.

**გივი გაგუა**



◉ ინფორმაცია თემაში

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა, რომელიც დღეს 20 საათზე მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მორიგ მატჩს მინსკში, ბელარუსის ნაკრების წინააღმდეგ გამართავს, კვირას „ტრაქტორის“ სტადიონზე ივარჯიშა.

„ჯვაროსნები“ ბელარუსის დედაქალაქში შაბათს ჩავიდნენ და მთელი დღე აღდგენით პროცედურებს დაუთმეს, ასე რომ, აღნიშნული ვარჯიში პირველი იყო ფინეთთან მატჩის შემდეგ და მან ერთ საათს გასტანა.

ჩვენმა გუნდმა სრული დატვირთვით ივარჯიშა. სასიხარულოა, რომ ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა და მიკროტრავმებიც არ არის.

ვარჯიშის შემდეგ, სფფ-ის ოფიციალური ვებ-გვერდისთვის კომენტარი გააკეთა ეროვნული ნაკრების ნახევარმცველმა სანდრო კობახიძემ.

„ფინეთთან თამაშამდე, ვინმეს რომ ეთქვა, ქულას აიღებთო, ალბათ, კმაყოფილებიც კი დავრჩებოდით და ნორმალურ შედეგად ჩაგვეთვლებოდა, თუმცა, ამ შეხვედრაში მოვლენები ისე განვითარდა, რომ ქულა კი არ ავიღეთ, ქულები დავკარგეთ... ეს ძალიან საწყენია. ასეთ თამაშში გამარჯვების ხელიდან გაშვება კარგი არ არის.

თუმცა, ახლა ფინეთთან თამაში უნდა დავივიწყოთ, რადგან, ჩემი აზრით, წინ უფრო რთული მატჩი გველის და მასზე უნდა მოვახდინოთ სრული კონცენტრაცია. ძალიან კარგი შანსი გვაქვს. ბელარუსებთან წარმატების მიღწევის შემთხვევაში, თამამი განაცხადი გავაკეთოთ ჯგუფში მესამე ადგილის დასაკავებლად.

ბელარუსი სერიოზული, მებრძოლი გუნდია და არაფერს ნიშნავს, რომ მათ შესარჩევში, ჯერჯერობით, ყველა მატჩი წააგეს. ისინი აუცილებლად შეეცდებიან, მთელი ძალებით შემოგვიტიონ და მინიმუმ, სწრაფი გოლი გაგვიტანონ. ჩვენი ამოცანა იქნება, გოლი არ გავუშვათ და ჩვენს შანსს დაველოდოთ, რომელიც აუცილებლად გვექნება“.

გუშინ „ჯვაროსნებმა“ მატჩისწინა ოფიციალური ვარჯიში მინსკის „დინამოს“ სტადიონზე გამართეს, ვარჯიშამდე კი, იმავე სტადიონზე, თემურ ქეცბაიამ პრესკონფერენცია მოაწყო.

◉ ძიუდო

# თითო „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“

**აბუ დაბიში დამთავრდა ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც რამდენიმე ქართველი ფალავანიც მონაწილეობდა. უკვე გაუწყეთ, რომ 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი ამირან პაპინაშვილმა დაიმსახურა.**

ასპარეზობის ბოლო დღეს ბრინჯაოს მედალი ზვიად გოგოჭურმა (90 კგ) მოიპოვა. ჩვენებურმა ზედიზედ სძლია პორტუგალიელ რიკარდო ლოუროს და კანადელ გილიომ პერლაუტს, ნახევარფინალში კი რუს კირილ ვოპროსოვთან იპონით დამარცხდა და მესამე ადგილს დასჯერდა.

100 კილოში უნდა ეჭიდავა ვალერი ლიპარტელიანს, მაგრამ იგი აბუ დაბიში არც ჩასულა: გერმანიის ბუნდესლიგის პირველობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და ანაკლიაში შეკრებაზე მყოფ საქართველოს ნაკრებს შეუერთდა. ოლიმპიური ჩემპიონის — ირაკლი ცირეკიძის შეგირდები მსოფლიოს გუნდური პირველობისთვის ემზადებიან. ამ შეჯიბრებას 27-28 ოქტომბერს ბრაზილია უმასპინძლებს.

**ლაშა დიდია**



◉ რაგბი

# „ლელო“ სათავეში დარჩა

**გასულ უქმეებზე საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ჩემპიონატში მე-7 ტურის შეხვედრები გაიმართა. კვლავ იყოჩაღა ლიდერმა „ლელომ“, რომელმაც დაძაბულ პაექრობაში მესამეადგილოსანი „ილიაუნი ჯიქი“ დაამარცხა — 22:10 და გათამაშების ცხრილის პირველ საფეხურზე შეინარჩუნა ადგილი.**

**ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა:** „აკადემია“ — „არმია“ 3:40, „ხარები“ (რუსთავი) — „აია“ (ქუთაისი) 13:50, „ყოჩები“ — „ბათუმი“ 34:32, „ლოკომოტივი“ — „არმაზი“ 21:31.

**სატურნირო მდგომარეობა შვიდი ტურის შემდეგ:**

„ლელო“ — 28 (204:101), „არმია“ — 27 (185:104), „არმაზი“ — 21 (150:114), „აია“ — 20 (152:117), „ჯიქები — 19 (132:113), „ლოკომოტივი“ — 14 (140:142), „ბათუმი“ — 10 (96:134), „ხარები“ — 9 (84:142), „ყოჩები“ — 7 (117:179), „აკადემია“ — 5 ქულა (47:173).



**ლექსო ცინცაძე**

◉ მემორიალი

# გვახსოვხარ, კაპიტანო!

**დამოუკიდებლობააღდგენილი საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და თბილისის „ვითას“ კაპიტნის, კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის დუდუ დადიანის ტრადიციულ მემორიალს დედაქალაქის ბავშვთა აკადემიის დარბაზი მასპინძლობს.**

სამწუხაროდ, საკადრო პრობლემების გამო ხსოვნის ტურნირში მონაწილეობას ვერ იღებენ „სოხუმი“, „ბათუმი“, „სამედიცინო“ და „დინამო“, თუმცა სუპერლიგის დანარჩენმა შვიდმა გუნდმა მაინც მოახერხა სარბიელზე გამოსვლა, რითაც გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა სეზონისათვის მათ მზადყოფნაზე.

უპირველესად, აღსანიშნავია ქვეყნის მოქმედი ჩემპიონის „არმიის“ ოპტიმალური კონდიციები, რომელიც მალე ევროჩელენჯში ჩაებმება. კოტე ტულუშის შეგირდები ჯგუფურ რაუნდში იოლად გაუსწორდნენ ყველა მეტოქეს და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან დღევანდელ ფინალშიც ფავორიტებად ისინი უნდა მივიჩნიოთ (დასაწყისი 16 საათზე).

ძალოვანი სტრუქტურების კლუბებთან ერთად კარგი შთაბეჭდილება დატოვა „ოლიმპმაც“, რომელიც ერთი ქულით დამარცხდა შსს-თან — 71:72, ხოლო სტუ და თსუ სტუდენტთათვის შეუფერებლად სუსტი თამაშით თუ გამოირჩეოდნენ.

**ვიტალი ჯაფარიძე**



◎ წერილი რედაქციას

# მუსიკა, რომელიც შინაარსს აცოცხლებს

**ამ პატარა წერილში მკითხველს ვთავაზობ გაეცნოს არასპეციალისტის (მაგრამ, მუსიკის მოყვარულის) აზრს კინოფილმ „ფესვების“ მუსიკალური გაფორმების მნიშვნელობის შესახებ. „გაფორმებას“ ვამბობ, თორემ მუსიკას ფილმის შინაარსის აღქმაში, გადამწყვეტი თუ არა, მნიშვნელოვანი როლი მაინც უჭირავს.**

ფილმი, თავისთავად, შესანიშნავი შინაარსისაა, ეხება საკითხს, რომელიც ჩვენთვის ყოველთვის პრობლემური იყო, რომელსაც აქტუალობა ათეული წლებია არ მოკლებია, ბოლო დროს კი ძალზე საყურადღებო გახდა: ალბათ, დამეთანხმებით, ქართველი კაცისთვის ნოსტალგია სისხლში იყო გამჯდარი.

დავუბრუნდეთ ზემოხსენებულ ფილმს. მკითხველს ვთხოვ მაპატიოს – ფილმის არც რეჟისორის გვარი ვიცი, არც ოპერატორის და არც მუსიკის ავტორის. ვიცი მხოლოდ, რომ მთავარ როლებს ბრწყინვალედ ასრულებენ აწ გარდაცვლილი, დაუვიწყარი დოდო და ლევან აბაშიძეები. მე მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი ფილმის მუსიკას, რომელიც დაბალი ტონალობით თითქმის მთლიანად გასდევს ფილმის მსვლელობას. კულმინაციას კი რკინიგზის პატარა სადგურზე, წვიმიან ამინდში, საფრანგეთში გადახვეწილი ქართველის შთამომავლის დასახვედრად მისული თანასოფლელების შეხვედრა წარმოადგენს. აქ მუსიკა, თავისი მაღალმხატვრული ჟღერადობით, ჰარმონიულად მიესადაგება და ავსებს ფილმის სიუჟეტს. სწორედ აქ იგრძნობა ამ მუსიკის სიდიადე და ფილმის დრამატული შინაარსისადმი მისი სრული თანხვედრა. კომპოზიტორის პროფესიონალიზმი გვიჩვენებს, თუ რამდენად აქვს მას გათავისებული ფილმის სიუჟეტი. ფილმის ფინალი შინაარსისა და მუსიკის ერთობლივი ზემოქმედების, ანუ მუსიკის საშუალებით მომენტის სრულფასოვნად აღქმის უბადლო მაგალითია.



განსაკუთრებით გულჩვილი არ ვარ, მაგრამ იმ მომენტში აცრემლებას თავი ვერ დავაღწიე.

ჩემი რწმენით, ამ შთაგონებას ვერსად წაუვა ის პიროვნებაც კი, რომელიც მუსიკაში ნაკლებად ერკვევა. ეს მომენტი მასაც მოაჯადოვებს. „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას ვთხოვ თავის ფურცლებზე მოგვითხროს ამ ფილმის რეჟისორზე, ოპერატორზე და, რა თქმა უნდა, კომპოზიტორზე.

წინასწარ გიხდით მადლობას.

**რევაზ ტყემალაძე,**
**საქართველოს დამსახურებული მშენებელი**

## რედაქციისგან:

**მხატვრული ფილმი „ფესვები“, რომლის შესახებაც საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, 82 წლის ბატონი რევაზ ტყემალაძე საუბრობს, კინოეკრანებზე 1987 წელს გამოვიდა და ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. ფილმი ქართველი ემიგრანტის განუწყვეტელი ნოსტალგიით აღსავსე ვრცელი ცხოვრების გზაზე მოგვითხრობს. უსახსრობის გამო სამშობლოდან საშოვარზე წასული მთავარი გმირი გიორგი ზაქარეიშვილი, რომლის როლიც შესანიშნავად განასახიერეს (ახალგაზრდობაში) სოსო ჯაჭველიანმა და (უკვე ასაკში შესული) დოდო აბაშიძემ, ევროპაში დატრიალებული პოლიტიკური მოვლენების გამო სამუდამოდ რჩება ემიგრაციაში. ფილმში სწორედ ამ ადამიანის ნოსტალგია და სამშობლოში დაბრუნების იმედია ასახული, რომელიც საბოლოოდ მაინც ვერ უსრულდება. ანდერძის თანახმად მისი ფერფლი სამშობლოში შვილიშვილს ჩააქვს.**

**ასეთია ფილმის ფაბულა.**

**რაც შეეხება ბატონ რევაზის თხოვნას, მოვახსენებთ, რომ ფილმის სცენარის ავტორია სულიკო ჟღენტი, ხოლო დამდგმელი რეჟისორი – გუგული მგელაძე. დამდგმელი ოპერატორი გახლავთ აბესალომ მაისურაძე. დამდგმელი მხატვრები – შოთა გოგოლაშვილი და ნიკოლოზ ზანდუკელი. ფილმში მონაწილეობენ ქართული კინოს ვარსკვლავები დოდო აბაშიძე, გიორგი გეგეჭკორი, მალხაზ გორგილაძე, ედიშერ მაღალაშვილი, თამარ სხირტლაძე, მერაბ ნინიძე, ბაადურ წულაძე, ბერტა ხაფავა, ია ფარულავა, ლორანს რაგონი, ლევან აბაშიძე და სხვ.**

**ბატონო რევაზ, თქვენ გაინტერესებდათ, თუ ვინ შექმნა ფილმის შესანიშნავი მუსიკა, რომელმაც თქვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ფილმის კომპოზიტორი გახლავთ ალექსანდრე რაქვიაშვილი. ალექსანდრე რაქვიაშვილი 1943 წელს დაიბადა რუსეთში, ჩიტის ოლქის ქალაქ ბალეიში. 1969 წელს დაამთავრა თბილისის კონსერვატორია. 1969-72 წლებში საქართველოს ტელევიზიის საესტრადო ორკესტრის მხატვრული ხელმძღვანელი გახლდათ. 1973 წლიდან მოღვაწეობდა თბილისის ა.გრიბოედოვის სახელობის დრამის თეატრში. არის ავტორი ბალეტების, ოპერეტების, მიუზიკლების, ორატორიებისა და სიმღერებისა.**

**რაც შეეხება ფილმოგრაფიას, ალექსანდრე რაქვიაშვილის მიერ მუსიკალურად გახმოვანებულია 1928 წელს გადაღებული ფილმი „ელისო“ (1987 წ.), კომპოზიტორია ფილმებისა „საბედისწერო გასროლა“ (1990 წ.) „ელისა და რარის თავგადასავალი“ (1989 წ.), „ფესვები“ (1987 წ.), „ჩემი მეგობარი ძია ვანია“ (1977 წ.), „ციური ბილიკები“ (1981 წ.) და სხვ.**

◎ სარედაქციო ფოსტიდან

# მადლობა ამერიკიდან



**მე, ემიგრაციაში მყოფმა ბორის კვარაცხელიამ, უღრმესი მადლობა უნდა გადავუხადო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლებს, რომლებმაც საშუალება მისცეს ჩემს მეგობრებს, რომ ჩემთვის მოელოცათ დაბადების 80 წლისთავი. მე ყოველთვის მადლიერების გრძნობით ვიყავი განმსჭვალული თქვენი გაზეთის მიმართ, ვინაიდან იგი მუდამ ჭეშმარიტად სახალხო გაზეთი იყო.**

თქვენი გაზეთის ის ნომერი, სადაც ჩემი საიუბილეო მილოცვა იყო დაბეჭდილი, მივიღე მაშინ, როცა ჩემი შვილები დავითი და მანანა კვარაცხელიები დაბადების 80 წლისთავს მიხდიდნენ, სადაც მოწვეული იყვნენ ნათესავები და აქ შეძენილი ახლო მეგობრები. ჩემთვის მოულოდნელი იყო (სიურპრიზი), როცა ჩემი შვილი დავითი, რომელიც ქართული წესით თამადობდა სუფრას, ადგა და თქვა, მამაჩემისთვის 80 წლისთავთან დაკავშირებით ძვირფასი საჩუქარი არ მიმირთმევია, მაგრამ ახლა ძალიან გავახარებ ჩემი საჩუქრითო – ადგა და მოიტანა გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ და გამიშალა ის გვერდი, სადაც ჩემი და ჩემი მეუღლის ერთობლივი სურათი იყო დაბეჭდილი სათაურით – „გალიდან ამერიკამდე უკვე არც ისე შორია“, ტექსტის წაკითხვის შემდეგ ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გამომდინარე აქედან, დიდ მადლობას ვუძღვნი რედაქციას, რომელმაც ასეთ სასიხარულო საქმეს დაადგა თავი და გამომიგზავნა გაზეთი იმ დროს, როცა მას არ ველოდი.

რაც შეეხება ჩემს მეგობრებს და საერთოდ მეგობრობას, უნდა აღვნიშნო, რომ 20 წლის წინათ, სანამ ამერიკაში მოვხვდებოდი, ჩემი მუშაობის თითქმის 40 წლის მანძილზე საქართველოს სხვადასხვა რაიონში არაერთი მეგობარი შევიძინე. საერთოდ მეგობრობის შეძენა ხდება თავდაპირველად საბავშვო ბაღიდან, სკოლიდან, ინსტიტუტიდან და, ბოლოს, სამსახურიდან. ამიტომ დაწყებული გულრიფშის რაიონის სოფელ განახლებიდან, სადაც დავიბადე, როგორც მახსოვს, ვმეგობრობდი ბორის ესტატეს ძე კვარაცხელიასთან (ამჟამად ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი), იქიდან მოყოლებული უამრავი მეგობარი მყავდა გალში, სადაც საშუალო სკოლა დავამთავრე, თბილისში, სადაც ინსტიტუტში ვსწავლობდი და, ბოლოს, სამსახურში, სადაც ვმუშაობდი ბოლო 20 წელი – ჟინვალჰესის სამშენებლო სამმართველოში. ყველა ამ მეგობრის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. კარგმა მეგობრობამ გზის სიშორე არ იცის... მადლობა თქვენ და მადლობა ჩემს მეგობრებს, რადგან დიდი ხნის უნახავი მომიგონეს და მომილოცეს. ყველას, ყველას ვეხვევი სიყვარულით და ყველას ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდი ხნის სიცოცხლეს.

**როგორც აგერ ახლა შევიტყვე, საპარლამენტო არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ გაუმარჯვია, რაც დიდად სასიხარულო ამბავია. ეს გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ საქართველო ყველა სანუკვარ ოცნებას აიხდენს, ასახდენი კი ძალიან ბევრია. ასე რომ, მთელ ჩემს ოჯახთან ერთად გილოცავთ ამ ნანატრ გამარჯვებას.**

**დიდი პატივისცემით**
**ბორის მიხეილის ძე კვარაცხელია**
**აშშ, კანზას-სიტი, 2012 წელი, 3 ოქტომბერი.**

◎ ქალის სამყარო

# ელენე (ელიკო) თავის ცხოვრებას გვაცნობს

**წინ მიდევს ქალბატონი ელენე აბაშიძის ავტობიოგრაფიული ნაშრომი „მე და ჩემი სამყარო“, რომელიც მან მამაჩემის, თავისი მასწავლებლის, პატივსაცემად და მოსაგონებლად მაჩუქა.**

**ქართველ თავად-აზნაურთა კეთილშობილური წრიდან გამოსული წიგნის ავტორი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ერთი შეხედვით ტექნიკურ-სამეცნიერო ტექსტებითა და გამოთქმებით შემოსილ-შეფუთული, ისეთი მშვენიერი ქართულით გვიამბობს თავისი ცხოვრების შესახებ, რომ გეგონება დახვეწილ ლიტერატორთან გქონდეს საქმე.**

ცხოვრება კი მას საინტერესო გაუვლია, დაწყებული მშობლიურ სოფელ ჭალიდან, ჭიათურიდან, სადაც მშობლებთან ერთად ცხოვრობდა, აღიზარდა და დაფრთიანდა, შემდეგ კი თბილისში, სადაც უკვე ხნოვანმა თავი დაადგა თავის მრავალწლიან შრომას და გეოლოგია-მინერალოგიის მეტად საინტერესო და პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხზე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რაზეც ნათლად მეტყველებს გამოხმაურებები, მიწვევები და ჯილდოები ამერიკისა და ევროპის ცნობილი საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებიდან.



რაოდენ საამაყოა, რომ მეცნიერული შრომისათვის ქალბატონ ელენეს ჩვენი სათაყვანებელი პატრიარქის ყურადღება ხვდა წილად.

ქალბატონ ელენეს ბიოგრაფია ბრწყინვალე მაგალითია ქართული არისტოკრატიული წრიდან გამოსული ქალის შრომითა და მომავლის იმედით აღსავსე, ხან ტკბილი, ხან მწარე, მაგრამ ბოლოს გამარჯვებული ცხოვრებისა.

ელენე მუსიკოსი, მგონი, მოცეკვავეც, ელენე – ბავშვთა დასასვენებელი ბანაკის გამგე, ლაბორანტი, ლექტორი და, ამასთანავე, ლამაზი და მომხიბლავი.

არ იფიქროთ, რომ ქალბატონი ელენე ახლა მაინც უსაქმოდ არის და წარსულის მოგონებებით ირთობს თავს. არა, ეს ასე არ არის – იგი აქტიურად თანამშრომლობს „თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა“ საზოგადოებაში, ამავე დროს მზად არის, თუკი ამის საჭიროება იქნება, თავისი სადისერტაციო შრომიდან გამომდინარე საკითხების ცხოვრებაში დანერგვასაც უხელმძღვანელოს.

მე დე ჩემს ჭიათურელ მეგობრებს ისღა დაგვრჩენია, რომ ვუსურვოთ ელენე (ელენიკოძ აბაშიძეს, 90 წლის დიდად პატივცემულ ქალბატონს, მოეხსნას სიცოცხლის ხანგრძლივობის ქალთა მსოფლიო რეკორდი და კიდევ დიდხანს ეცხოვროს თავისუფალ და გალაღებულ საქართველოში.

**რევაზ ტყემალაძე**

**დემურ გადელია, ვიტალი ხაზარაძე, პეტრე ბერაია, საველ მარსაგიშვილი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობრის რომან კვაჭაძის ძმა**

**ომარ კვაჭაძე**

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**მურად და ჯიმშერ ანჯაფარიძეები გამოვხატავთ გულისტკივილს და სამძიმარს ვუცხადებთ ჩვენს სოხუმელ მეგობარს, გამორჩეულ პიროვნებას ანზორ ხუბუტიას ძვირფასი**

**დედის**

**გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 16 X, ქალაქ მოსკოვში.**

---

**პედიატრიის ინსტიტუტი, ალერგიისა და რევმატოლოგიის ცენტრი, საქართველოს პედიატრთა ასოციაცია თანაუგრძნობს ივანე ჩხაიძეს დედის**

**ნათელა კაკაბაძის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

◎ ინფორმაცია

## სოფელ თაგილონიდან ადამიანი გაიტაცეს

**აფხაზური მხარე გალის რაიონის სოფელ თაგილონში მცხოვრებ 1960 წელს დაბადებულ ანატოლი ბერაიას გატაცების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს. გალის რაიონის ე.წ. მილიციის უფროსი ლაურენს კოღონია აცხადებს, რომ ბერაია დღის განმავლობაში თანასოფლელს ქორწილისთვის მზადებაში ეხმარებოდა, შემდეგ კი მოსაღამოვებისას ველოსიპედით სახლისკენ გაემართა და გაქრა.**

**საღამოს კი მისი მობილური ტელეფონიდან უცნობმა პირმა დარეკა და ბერაიას ვაჟს გამოსასყიდი 50 ათასი აშშ დოლარი მოსთხოვა, – იუწყება აფხაზური მხარე და აღნიშნავს, რომ გამოძიებას გალის ე.წ. რაიონული პროკურატურა აწარმოებს.**

◉ განუყრელი მეგზური

# აბა, რას გეტყვის შენ ჩემი სახელი...

**ბავშვისთვის სახელის შერჩევა ბევრი მშობლისთვის მეტად სერიოზული საკითხია: ზოგს მოდისგან ჩამორჩენისა ეშინია, ზოგს კი, პირიქით, ორიგინალობის გამოჩენა სურს.**

უწინ უბრალოდ იქცეოდნენ — საეკლესიო კალენდარს ნახულობდნენ და პატარას იმ წმინდანის სახელს არქმევდნენ, რომლის ხსენების დღეს ბავშვი იყო დაბადებული. საბჭოთა დროში ეს პრაქტიკა თითქმის მიივიწყეს, წმინდანთა სახელების დარქმევას ხალხი ვერ ბედავდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა აღიდგინა, კვლავ გაჩნდნენ საბები, ბარბარეები, თებროლეები, თადეოზები...



პირმშოსთვის სახელის შერჩევისას სპეციალისტები ახალგაზრდა მშობლებს შემდეგ რჩევებს აძლევენ: **პირველ რიგში ყურადღება მიაქციეთ იმას, თუ რამდენად ადვილი წარმოსათქმელია იგი.** მერე მისი სახელი და გვარი ერთად წარმოთქვით, როგორი ჟღერადობა აქვს ორივეს ერთად, ენა ხომ არ „გებორძიკებათ“? ხომ თანაბრადაა მასში განაწილებული ხმოვანი და თანხმოვანი ასო-ბგერები?

**შემდეგ ორივე ნაწილის აზრობრივ თანხვედრას მიაქციეთ ყურადღება.** საქმე ისაა, რომ ზოგჯერ მშობლებს ისე იტაცებს პატარისთვის ჟღერადი სახელის დარქმევა, რომ საკუთარი ნაკლებად ლამაზი, ანდა, სულაც სასაცილო თუ „უხერხული“ გვარი ავიწყდებათ. დარწმუნებული ვართ, რომ კურიოზული სახელ-გვარის მატარებელი ერთი ნაცნობი მაინც ყველას ეყოლება, ამიტომ მშობლები უნდა ეცადონ თავიანთი შვილი დაცინვის ან გამასხარავების საგანი არ გახადონ.

**ცალკეა აღსანიშნავი თავისებური იუმორის მქონე, ანდა სიტყვების თამაშის მოყვარული მშობლები,** ამიტომაც სპეციალისტები ურჩევენ, რომ შვილს მოარიდონ, ვთქვათ, ძალიან ცნობილი ადამიანების სრულ სეხნიობას — მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილი ანდა ანა კალანდაძე, ცოტა არ იყოს, ღიმილის მომგვრელია.

**მშობლები ასევე იმაზეც უნდა დაფიქრდნენ, ხომ არ მოუწევთ მათ შვილს თავისი სახელის ცალკეული ასოებით წარმოთქმა, რათა იგი სწორად ჩაწერონ,** მაგალითად, ბოლო დროს ასე მოდური ანამარია და ანამარია.

**რაც შეეხება ორმაგ სახელებს, ამ შემთხვევაში მათი შერჩევისას გარკვეული წესები არსებობს: პირველი სახელი, როგორც წესი, საეროა, მეორე კი — ნათლობის.** მაგალითად, ვარიანტები ივანე-ჯონი, ან მანანა-ქეთევანი აშკარად შაყირის გუნებაზე დააყენებს ახლად გაცნობილ კაცს.

თუმცა უმეტეს შემთხვევაში ცხოვრებაში კაცს თუ ქალს მაინც რომელიმე ერთი სახელით მიმართავენ.

**ნინო ალექსანდრია**

◉ ინფორმაცია

# სოფელ ჭიაურის სკოლაში სწავლა შეწყვეტილია



**მიწისძვრის შედეგად ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჭიაურში 15 სახლი და საჯარო სკოლა სერიოზულად არის დაზიანებული. ამის შესახებ სოფლის გამგებელმა ტარიელ ქიმაძემ განაცხადა. მისივე თქმით, მიწისქვეშა ბიძგები რამდენჯერმე განმეორდა, რის გამოც მოსახლეობა პანიკაშია.**

სოფლის გამგებლის განცხადებით, შეწყვეტილია სასწავლო პროცესიც, რადგან მიწისძვრამ სკოლის შენობაც დააზიანა.

ქიმაძე ამბობს, რომ ელოდებიან განათლების სამინისტროდან ექსპერტებს, რომლებიც ჩაატარებენ ექსპერტიზას, უსაფრთხოა თუ არა სკოლაში სასწავლო პროცესის აღდგენა.

რაც შეეხება ზარალს, როგორც ქიმაძემ განაცხადა, შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც ზუსტ ზარალს დაითვლის.

5, 4 მაგნიტუდის მიწისძვრა საქართველოს აზერბაიჯანის საზღვართან კვირას მოხდა.

◉ ჩვენი პრესდაიჯესტი

## გუშინდელი გაზეთებიდან



### კიბეები მოაჯირის გარეშე და ფანჯრები, რომლებიც არ იღება

პარლამენტის პირველი სხდომის ჩატარებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება, მშენებლობა ქუთაისში კი ჯერ დასრულებული არ არის. თუმცა, იმედი აქვთ, რომ ყველაფერი 20 ოქტომბრამდე დასრულდება. პარლამენტის დაცვის თანამშრომელი ამბობს, რომ მშენებლობა დღედაღამ მიმდინარეობს, თუმცა პრობლემებიცაა. „დღეს ორი თანამშრომელი შეწუხდა უჰაეროების გამო, სასწრაფო დახმარება დაგვჭირდა. სიცხე რომ დააჭერს, შეუძლებელია ოთახებში გაჩერება. ჟალუზები ამას არა აქვს და ფარდა. როგორ უნდა გაჩერდე სიცხეში მთლიანად მინის ოთახში? მინის ფერზე და პროექტზე პრეტენზიებს მშენებლები ხომ არ მიიღებენ? გვეუბნებიან, ყველაფერი პრეზიდენტთან თანხმდება და მისი არჩეულია ფერებიო.

„რეზონანსი“

### „სააკაშვილი დაპატიმრებას ელოდება“

— აცხადებს პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე, — სააკაშვილი არის ზოლმიანი კაცი, რომელიც წაგების შემდეგ ფიქრობს რევანშსა და შურისძიებაზე. დღეს ის ძალიან რთულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია და ყოველ 15 წუთში დაპატიმრებას ელოდება. უცხოელებს ეუბნება, ხომ გეუბნებოდით, არ განახორციელოთ ეს პროექტი, რომელიც უკრაინაშია, როგორც იანუკოვიჩი მოიყვანა კრემლმა ხელისუფლებაში, იანუკოვიჩს დააპატიმრებინა ტიმოშენკო, ასე გააკეთებენ აქაც და შემდეგი ნაბიჯია ჩემი დაპატიმრება. ტიმოშენკო მათთვის მე ვარო.

„ახალი თაობა“

### არჩევნების გამყალბებლის სკანდალური აღიარება!

„ნაციონალური მოძრაობის“ სამეგრელოს შტაბის წევრი ხვიჩა ჟორდანია სკანდალური აღიარებით გამოდის:

— ციხეში ვიჯექი, მალე ისედაც მეწურებოდა სასჯელის ვადა, მაგრამ 22 დღით ადრე გამომიყვანეს. ჩემს მშობლებთან მივიდნენ და უთხრეს, ციხიდან გამოვიყვანთ და ჩვენთან უნდა იმუშაოსო. არჩევნების დღეს შტაბში შექმნილი იყო საინფორმაციო ცენტრი და იქ ვმუშაობდი... გაყალბების ყოველგვარი ხერხი იქნა გამოყენებული — ე. წ. „სომხური კარუსელები“, ჩვეულებრივი კარუსელები, ყალბი პირადობის მოწმობები, ამომრჩევლის დაშინება, მოსყიდვა და ა. შ. პიროვნებები, რომლებიც ყალბი პასპორტებით კარუსელზე დადიოდნენ, ხელებს მთლიანად იბანდნენ მარკირების სითხეში, რის შემდეგაც მარკირების აპარატი ხელზე ლაქას აღარ აფიქსირებს“...

„ასავალ-დასავალი“

### „მძაფრი პოლიტიკური კრიზისის საფრთხე არსებობს“

— მიაჩნია ახალი პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეს ვახტანგ ხმალაძეს, — ამ კონსტიტუციით პრეზიდენტს შეუძლია ყოველთვის შექმნას მიზეზი, რომ დაითხოვოს პარლამენტი, თანამდებობიდან გაათავისუფლოს შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და თავდაცვის მინისტრები. შეუძლია ნებისმიერ დროს მიზეზის დაუსახელებლად თანამდებობიდან გაუშვას პრემიერ-მინისტრი, რაც ნიშნავს, რომ ამავდროულად ყველა მინისტრი გაათავისუფლოს თანამდებობიდან.

„კვირის პალიტრა“

### რა ბედი ელის დაცვის პოლიციის 700 თანამშრომელს?

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გვარწმუნებს: „მე გარანტია მივეცი დაცვის თანამშრომლებს, რომ არც ერთი მათგანი არ დატოვებს სამსახურს, ისინი დარჩებიან და გააგრძელებენ მუშაობას თავიანთ პოზიციებზე. არც ერთი თანამშრომელი არ უნდა გახდეს უკანონობის მსხვერპლი. არ უნდა დაზარალდეს ხელისუფლების გადაბარების პროცესში.

„ქრონიკა“

◉ კადრი



რეკლამა 299-62-77; 599 32-85-76.

◉ ანეკდოტები

**პარადოქსი:** წლეულს ზაფხული თითქოს არც ყოფილა, ზამთარი კი დროულად მოდის.

* * *

**დილით** მეღვიძება... ღმერთმა დასწყევლოს! გუშინ საღამოს ისევ დამვიწყებია საძილე საშუალებების დალევა.

* * *



**ტელევიზორში** ახალ ამბებს ვუყურებდი და უცებ ვიგრძენი, რომ მიყვარდება პრეზიდენტი. ღმერთო! პირჯვარი გადავიწერე და... მომეშვა.

* * *

— **თქვენ** ხელფასებს ღებულობთ? — ეკითხება მყიდველი სასურსათო მაღაზიის გამყიდველს.

— მხოლოდ საჩუქრად...

* * *

**იდიოტების** გაერთიანება საჭირო არ არის — ისედაც მთელი პლანეტა მათია.

* * *

**იდეალური** დილა: გაგეღვიძა, გაიზმორე, გაგეღიმა, გადაბრუნდი და დაიძინე.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოძუაშვილი 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24